საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 13 ივნისი, 2015 წელი.

№108 (7753)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

მაგთიკომი
MAGTICOM

მაგთიკომი არ ჩასვამს პალიტრა TV-ს მაგთისატის სამომხმარებლო პაკეტში, სანამ პალიტრა TV არ უზრუნველყოფს სამაუწყებლო სიგნალის გეოსტაციონარულ ორბიტაზე მყოფ თანამგზავრამდე ატვირთვის საფასურის გადახდას, რისი ვალდებულებაც დაადგინა კანონიერ ძალაში შესულმა სასამართლო გადაწყვეტილებამ (საქმე №3/672-14), მიუხედავად იმისა, თუ რა სტატიებს გამოაქვეყნებს პალიტრა მედია მაგთიკომის შესახებ.

გუშინ ბაქოში საზეიმოდ გაიხსნა პირველი ევროპული თამაშები

ირაკლი ღარიბაშვილი „ბაქო 2015 – პირველი ევროპული თამაშების“ გახსნასთან დაკავშირებულ მიღებას დაესწრო

ევროპული **თამაშების გახსნის ცერემონიალი რესპუბლიკის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის სახელით გაიმართა.**

ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად, მიღებაზე იმყოფებოდნენ მსოფლიო ლიდერები, მათ შორის, მონაკოს პრინცი, თურქეთის პრეზიდენტი, ტაჯიკეთის პრეზიდენტი, მონტენეგროს პრეზიდენტი, ბულგარეთის პრემიერ-მინისტრი.

„ბაქო 2015 — პირველი ევროპული თამაშები გუშინ ოფიციალურად გაიხსნა. ოლიმპიადაში, სპორტის 20 სახეობის 253 დისციპლინაში 50 ქვეყნის 6 ათასზე მეტი სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას. აზერბაიჯანში 104 ქართველი ათლეტი სპორტის 17 სახეობაში იასპარეზებს.

ოლიმპიადის გახსნას საქართველოს პრემიერ-მინისტრი შვილებთან და საქართველოს დელეგაციის წევრებთან ერთად დაესწრო.

საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში იმყოფებიან: ვიცე-პრემიერი, ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძე, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი და სახელმწიფო რწმუნებული ქვემო ქართლის რეგიონში პაატა ხიზანაშვილი.

„საბურთალოს“ აღზევება და სამომავლო კონტურები

10

დიდოსტატს წლების მაგივრად დიდება ემატება!

ბატონ მერაბ ბერძენიშვილს ვულოცავთ საუკუნისკენ ღირსეულ სვლას

ივნისის მზეგრძელ დღეებში მრავალი ღირსეული ქართველია დაბადებული. შეიძლება თამამად თქმა, რომ ივნისი საქართველოს სახალხო მხატვრის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის, დიდი მოქანდაკისა და ფერმწერის, ჭეშმარიტი მამულიშვილის მერაბ ბერძენიშვილის თვეა.

ქართველ ხალხს მერაბ ბერძენიშვილი უყვარს იმიტომ, რომ მის შემოქმედებას, მის ქანდაკებას შესწევს ძალა ადამიანის მშვენიერება მარადიული გახადოს, უყვარს იმიტომ, რომ სულის უკვდავებაში დაარწმუნოს, უყვარს იმიტომ, რომ ჩვენი პატარა ერი ხელოვნების ენით მსოფლიოს ყველა ხალხს ალაპარაკოს.

წლები გადის. მერაბ ბერძენიშვილის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის შემოქმედებას ძალა და ხიბლი ემატება.

როგორც საქართველო წარმოუდგენელია თავისი განუმეორებელი ბუნებისა და ლანდშაფტის გარეშე, ასევე წარმოუდგენელია მსოფლიო ქანდაკება მერაბ ბერძენიშვილის შემოქმედების გარეშე.

მერაბ ბერძენიშვილი დიდებული მწერალი და პუბლიცისტია. აი, როგორ აფასებს ის მხატვრის მისიას:



„მხატვარი სიკეთის მისიონერია, რომელსაც გააჩნია უნარი შეიცნოს, ამოხსნას, დაინახოს უსახო და უხილავი, მოისმინოს სხვათათვის მოუსმენელი. მისი მძაფრი აღქმა სამყაროს ყოველი მხრიდან იღებს ინფორმაციას და ყოველივეს გადასცემს ადამიანებს. მხატვრის მისიაა, აღასრულოს ეს ღვთიური ძალის მოწოდება“.

მერაბ ბერძენიშვილი ჩვენი გაზეთის მეგობარია. ოც წელიწადზე მეტია, თავისი ეროვნული ტკივილით და მომავლის განჭვრეტით აღსავსე პუბლიცისტური წერილები მხოლოდ „საქართველოს რესპუბლიკაში“ იბეჭდება.

ამ დღეებში ბატონ მერაბს ოთხმოცდაექვსი წელი შეუსრულდა. სულით ძლიერ, მხნე და დღეგრძელ შემოქმედს წლების მაგივრად დიდება ემატება.

ჩვენ ეს გულწრფელად გვახარებს.

მთელი სულითა და გულით ვილოცავთ დიდო ხელოვანო, როგორც პოეტი იტყოდა, ერის სახელის მთელ მსოფლიოში „გამტყორცნელო და გამჯირითებელო!“

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია

პრეზიდენტმა 226 მსჯავრდებული შეიწყალა

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა 226 მსჯავრდებული შეიწყალა, საიდანაც ცხრეს 180 დატოვებს. შეწყალების კომისიის თავმჯდომარის ზვიად ქორიძის განცხადებით, შეწყალებულთა შორის 14 ქალი და ერთი არასრულწლოვანია.

როგორც ქორიძემ განაცხადა, შეწყალებული პატიმრების ის ნაწილი, რომლებსაც სრულად გათავისუფლება შეეხოთ, სასჯელაღსრულების დაწესებულებებს დღესვე დატოვებენ. მათ შორის 10 ქალი მსჯავრდებული გათავისუფლდა.

ამასთან, შეწყალებული 226 პატიმრიდან 46 მსჯავრდებულს სასჯელი შეუმსუბუქდა.

შეწყალებული მსჯავრდებულები სხვადასხვა ტიპის დანაშაულისთვის იხდიდნენ სასჯელს, შეწყალებულთა ძირითადი მასა კი, მოდის ნარკოტიკულ დანაშაულზე, ეს არის შეძენა-შენახვა-მოხმარება, ნარკოტიკული ნივთიერების კულტივირება და შემოტანა.

რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას, რომ შეწყალებულთა სიაში შესაძლოა, იყოს გიორგი გვიჩიანიც, ქორიძის თქმით, ვიდრე არ ასრულდება შეწყალების აქტი და მსჯავრდებულები არ დატოვებენ საპატიმრო დაწესებულებას, მანამდე არა აქვს უფლება, გავრცელოს პერსონალური ინფორმაცია იმ მსჯავრდებულების შესახებ, რომლებიც დატოვებენ საპატიმრო დაწესებულებებს.

EBRD-ის პრეზიდენტი ნოდარ ხადურს მადლობის წერილს უგზავნის

„ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის“ ყოველწლიური შეხვედრისა და ბიზნეს-ფორუმის წარმატებით ორგანიზებისა და ჩატარებისთვის ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა ბანკის პრეზიდენტისგან, სერ სუმა ჩაკრაბარტისგან მადლობის წერილი მიიღო.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, წერილი ფინანსთა მინისტრს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის რეგიონულმა დირექტორმა ბრუნო ბალვანერამ გუშინ ოფიციალურად გადასცა.

„თბილისში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მმართველთა საბჭოს შეხვედრისა და ბიზნეს-ფორუმის წარმატებით ჩატარების შემდეგ, მსურდა, მადლიერება გამომეხატა თქვენდამი და თქვენი წარმატებული გუნდის მიმართ, მრავალი თვის განმავლობაში გაწეული დაუღალავი სამუშაოსა და თანამშრომლობისთვის. 2015 წელს ჩვენმა წლიურმა შეხვედრამ საუკეთესო შესაძლებლობა მისცა ღონისძიების მონაწილეებს, დამატებითი ინფორმაცია მიეღოთ რეგიონის ეკონომიკური კლიმატის შესახებ განსაკუთრებით კი საქართველოში არსებული საინვესტიციო პერსპექტივების შესახებ. ღონისძიებას დიდ წარმატებად მიიჩნევენ მისი მონაწილეები. ეს არის თქვენი ძლიერი და შემოქმედებითი გუნდის მუშაობის შედეგი. თქვენმა თანამშრომლებმა შესანიშნავად გაართვეს თავი უდიდეს დატვირთვას და გამოწვევას, როგორც ღონისძიების მომზადების, ასევე მისი მსვლელობის პერიოდში. ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია ვიამაყოთ საერთო მიღწევით, რომელიც ვიცი, კიდევ უფრო გააძლიერებს ურთიერთობას საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის,“ — აღნიშნულია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პრეზიდენტის წერილში.

პარლამენტარებს აღარ უშველით „ბებია მყავდა ცუდად“ და „ცოლს არ ეცალა“

ოჯახური მდგომარეობის გამო პარლამენტის სხდომების გაცდენა, რომელიც საპატიო მიზეზად ითვლება, შესაძლოა, პარლამენტის რეგლამენტიდან ამოიღონ.

ამის შესახებ განაცხადა პარლამენტის ბიუროს სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა გააკეთა.

მისი თქმით, გახშირდა გაცდენები ოჯახური პირობების გამო, რაც საპატიო მიზეზად ითვლება, თუმცა, არიან დეპუტატები, რომელთაც 60-ზე მეტი გაცდენა აქვთ. პარლამენტის თავმჯდომარემ ბიუროს სხდომაზე იმ დეპუტატების სახელი და გვარებიც დაასახელა, რომლებიც ყველაზე ხშირად აცდენენ სხდომებს.

„პარლამენტის წევრების სხდომაზე დასწრებასთან დაკავშირებით მივმართე შესაბამის სამსახურს და მაქვს სტატისტიკური მონაცემები, თუ რამდენი სხდომაა საპატიო მიზეზებით გაცდენილი. რეგლამენტით გათვლილია, რომ ოჯახური მდგომარეობით სხდომების გაცდენა საპატიო მიზეზად ითვლება. ვფიქრობ, რომ პარლამენტის წევრები სხვა ადამიანებისგან არაფრით განსხვავდებიან, თუმცა თუ გადავხედავთ სტატისტიკას, აქ სულ სხვა შემთხვევასთან გვაქვს საქმე. მე ამოვწერე 10 ხშირად გაცდენი დეპუტატის სახელი და გვარი, ვისაც გაცდენილი აქვთ 60-ზე მეტი სხდომა. გიორგი ვაშაძეს 66 სხდომა აქვს გაცდენილი. დავით ბეჟუაშვილს — 74, გოდერძი ბუკია 91 სხდომას არ ესწრებოდა, გიორგი ლიპარტელიანი — 93 სხდომას, რამაზ ნიკოლაიშვილი- 94-ს, აზერ სულეიმანოვს 96 გაცდენა აქვს, თუმცა ყველაზე მეტი კობა ნაყოფიას აქვს გაცდენილი, 101 სხდომა. ამ შემთხვევაში ჩემი სიტყვები უადგილოა. თუ მათ რამე პრობლემა აქვთ ოჯახური მდგომარეობის გამო, ჩვენ მათთან უნდა ვიყოთ. მესმის ისიც, რომ ჩემი სიტყვები ცინიკურად ჟღერს. ვთხოვ საპროცედურო საკითხთა კომიტეტს, რომ „ოჯახური მდგომარეობის გამო“, რომელიც საპატიო მიზეზად ითვლება, ამოღებულ იქნას პარლამენტის რეგლამენტიდან“, — განაცხადა უსუფაშვილმა.

რუსეთი კვლავ არღვევს საერთაშორისო ხელშეკრულებებს

რუსეთმა არ წარმოადგინა ინფორმაცია საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში საკუთარი სამხედრო ძალების შესახებ, — ამის თაობაზე აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ 2015 წლის ანგარიშშია აღნიშნული. ანგარიში შეიარაღების კონტროლის, გაუვრცელებლობისა და განიარაღების შესახებ შეთანხმების შესრულებას ეხება.

ამერიკული მხარის ცნობით, რუსეთი მსგავსი ქმედებებით „ვენის დოკუმენტის“ პირობებს არღვევს.

„აშშ-ის შეფასებით, რუსეთი შერჩევით ახორციელებს ვენის დოკუმენტის ზოგიერთ პუნქტს. რუსული სამხედრო მოქმედებების შესახებ არასაკმარისი გამჭვირვალობა „ნდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების ზომების“ რეჟიმის ეფექტურობას ზღუდავს“, — აღნიშნულია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში.

დოკუმენტში ასევე ნახსენებია რუსეთის მიერ უკრაინაში განხორციელებული სამხედრო ქმედებები, რასაც მოსკოვი არ აღიარებს.

„ვენის დოკუმენტი“ შეიარაღებული ძალების შესახებ ინფორმაციის გაცვლას ითვალისწინებს. რუსეთი აღნიშნულ დოკუმენტს 1990 წელს შეუერთდა.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში საუბარია ასევე „ღია ცის შესახებ შეთანხმების“ დარღვევაზეც. დოკუმენტის მიხედვით, რუსეთი შეთანხმების მონაწილე ქვეყნებს არ აძლევს უფლებას, სადამკვირვებლო ფრენები განახორციელონ ე.წ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე. „სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი საერთაშორისო დონეზე აღიარებულია როგორც საქართველოს შემადგენელი ნაწილები, რაც ნიშნავს, რომ შეთანხმება აღნიშნულ ტერიტორიებზეც ვრცელდება. ამგვარად ფრენები დაშვებულია. რუსეთი კი სადამკვირვებლო ფრენებს ამ ტერიტორიებზე ზღუდავს“, — წერია ანგარიშში.

◎ ინფორმაცია

ნელ-ნელა, მაგრამ ინვესტიციები მაინც შემოდის

„შულც გლობალის“ ფონდი, საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან ერთად, საქართველოში 100 მილიონი დოლარის ინვესტიციას განახორციელებს.

გუშინ „თბილისი მარიოტში“ „კავკასიის განახლებადი ენერგიის ფონდი I“-ის გახსნის ოფიციალური ხელმოწერის ცერემონია გაიმართა, რომლის მონაწილეები „გლობალური ენერგო ეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის ფონდი“ (GEEREF), და „ავსტრიის განვითარების ბანკი“ (OeEB) გახლდათ. „გლობალური ენერგო ეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის ფონდი“ და „ავსტრიის განვითარების ბანკი“ ფონდის წამყვანი ინსტიტუციონალური ინვესტორები არიან, რომლებიც 13 მილიონი დოლარისა და 7 მილიონი დოლარის ოდენობით ინვესტიციას განახორციელებენ. ფონდი საინვესტიციო საქმიანობის დაწყებას საქართველოში მომდევნო თვეებიდან გეგმავს.

უზენაეს სასამართლოს ორი ახალი მოსამართლე ჰყავს

საქართველოს პარლამენტის სხდომაზე დეპუტატებმა უზენაესი სასამართლოს წევრებს უყარეს კენჭი. კენჭისყრის შედეგების მიხედვით უზენაესი სასამართლოს წევრები მზია თოდუა და ეკა გასიტაშვილი გახდნენ.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, არჩეული წევრები პლენარულ სხდომაზე დღეს ფიცსაც დადებენ.

„მოლვაწეობის“ ბოლო წლებში მიშას მგლის მაღა მიეცა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშის თანახმად, მიხეილ სააკაშვილის დროს, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ 2011-2013 წლებში სხვადასხვა დასახელების საჩუქრის შეძენაზე 3 765 600 ლარი დახარჯა.

კერძოდ, როგორც გენერალური აუდიტორის მიერ პარლამენტისთვის წარდგენილ, 2014 წლის საქმიანობის ანგარიშშია ნათქვამი, აღნიშნულ პერიოდში საჩუქრებისა და ადგილზე მოხმარების მიზნით სულ შესყიდულია 930.3 ათასი ლარის ალკოჰოლური სასმელები, 2,136.0 ათასი ლარის კომპიუტერული ტექნიკა, 205.5 ათასი ლარის ტელეფონები, 196.5 ათასი ლარის ოქროს სამკაულები, 121.1 ათასი ლარის საათები და 176.3 ათასი ლარის სხვადასხვა სახის სუვენირი.

„2011-2013 წლებში შესყიდული ალკოჰოლური სასმელებიდან 266.7 ათასი ლარის სასმელები ადგილზე მოხმარების მიზნით საწყობიდან გაცემულია პრეზიდენტის სამდივნოს უფროსზე ე.წ. „სპეცსაწყობში.“ კონკრეტულად, თუ როდის და რა სახის ღონისძიებებზე იქნა მოხმარებული აღნიშნული სასმელები წარმოდგენილი მასალებით ვერ დგინდება. ფიზიკურ პირებზე საჩუქრების სახით გადაცემულ 1,370.2 ათასი ლარის ქონებაზე საგადასახადო კოდექსის 154 მუხლის „მ“ქვეპუნქტის შესაბამისად ადმინისტრაციის მიერ ქონების საჩუქრად გადაცემის დროს საშემოსავლო გადასახადის დაკავება და ბიუჯეტში გადარიცხვა არ განხორციელებულა. მიღებული შემოსავლებიდან გამომდინარე კი დარიცხვასა და ბიუჯეტში გადარიცხვას ექვემდებარებოდა 342.6 ათასი ლარი. საჩუქრების სახით შესყიდული საათები, ოქროს სამკაულები, კომპიუტერული ტექნიკა და ტელეფონები არ მიეკუთვნებოდა სუვენირებს. ამდენად, მათი შესყიდვა და საჩუქრების სახით გადაცემა წარმომადგენლობითი ხარჯების სახით არამართებული იყო. ასევე არამართლზომიერ ხარჯს წარმოადგენს სხვადასხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების თანამშრომლებზე კომპიუტერული ტექნიკის საჩუქრების სახით გადაცემა“, — ნათქვამია გენერალური აუდიტორის წლიურ ანგარიშში.

გარდა ამისა, პარლამენტისთვის გადაგზავნილი დოკუმენტის მიხედვით, პრეზიდენტის ადმინისტრაციამ შპს „სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-სგან გადაცემა „კურიერის“ 21-საათიანი გამოშვების 2003 წლის 1 აგვისტოდან 2013 წლის 5 ოქტომბრამდე პერიოდის არსებული ჩანაწერის საარქივო მასალა 170.0 ათას ლარად შეიძინა.

„აღნიშნული წარმოადგენს არაეფექტურ ხარჯს“, — აღნიშნულია სახელმწიფო აუდიტის ანგარიშში.

ამასთან, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნის თანახმად, 2011-2013 წლებში პრეზიდენტის ადმინისტრაციის ფინანსურ საქმიანობაში საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული სხვა ხარვეზებიც იქნა გამოვლენილი. კერძოდ, ანგარიშის მიხედვით, 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში უცხოელი სტუმრების საქართველოში ვიზიტებისას ქალაქ ბათუმში, საქართველოს პრეზიდენტის სასტუმრო ,,რედისონის“ და,,შერატონის“ მომსახურებით უზრუნველყოფისათვის ყოველგვარი დეტალური ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენის გარეშე ანაზღაურებულია 111.1 ათასი ლარი.

„ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დგინდება, თუ რა ვიზიტებისა და შეხვედრებისას განხორციელდა ბათუმში პრეზიდენტის სასტუმრო მომსახურება“, — ნათქვამია ლაშა თორდიას წლიურ ანგარიშში.



ერთი პროქტოლოგის თანამდებობაღა დარჩა და...

მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში სახელმწიფო საწარმოების რეფორმების სადამკვირვებლო საბჭოს ჩაუდგება სათავეში, — ამის შესახებ უკრაინული გამოცემა „უნიანი“ იტყობინება.

აღნიშნული საბჭო უკრაინის ეკონომიკური განვითარებისა და ვაჭრობის სამინისტრომ შექმნა.

„დღეს ჩვენ ვქმნით სახელმწიფო საწარმოების რეფორმების საზედამხედველო საბჭოს. ეს ჯგუფი იქნება ექსპერტებით დაკომპლექტებული, რომლებსაც საჯარო ადმინისტრირების სფეროში აქვთ გამოცდილება, იცნობენ უკრაინას და გამოწვევებს, რის წინაშეც ქვეყანა დგას და აქვთ რეფორმების თავიანთი ხედვა. მოხარული ვარ, რომ გუბერნატორი სააკაშვილი დაგვთანხმდა, ამ საბჭოს სათავეში ჩაუდგეს“, — განაცხადა უკრაინის ეკონომიკური განვითარებისა და ვაჭრობის მინისტრმა აივარას აბრამავიჩუსმა.

სააკაშვილმა კი ამ პოსტის დაკავებაზე კომენტირებისას აღნიშნა, რომ მსგავსი საბჭოს არსებობა აუცილებელია, ვინაიდან უკრაინაში სახელმწიფოს კუთვნილი საწარმოები „ოლიგარქებისთვის შავი ფულის“ წყაროა.

◎ ვარშავის სამიტის იმედით

გადამწყვეტი იქნება ევროპის ლიდერის – გერმანიის პოზიცია...

2016 წლის 9 ივლისს ვარშავაში ნატოს სამიტი იმართება. სამიტამდე ერთი წლით ადრე ოფიციალური თბილისის მოლოდინი საკმაოდ დიდია. თბილისში ნატოს სტრატეგიული სამხედრო პარტნიორობის კონფერენციის მიმდინარეობისას, რომელშიც ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების შეიარაღებული ძალების მაღალჩინოსნები და ექსპერტები მონაწილეობდნენ, სიტყვით გამოსვლისას თავდაცვის მინისტრმა საქართველოსთვის ვარშავის სამიტის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

როგორც თინა ხიდაშელი ამბობს, ეს არის იმედისა და მოლოდინის სამიტი. მინისტრის განცხადებით, მისი მოლოდინები ვარშავის სამიტის შედეგებში აისახება. საქართველოს „ატლანტიკური საბჭოს აღმასრულებელი“ დირექტორი გიორგი მუჩაიძე for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ მნიშვნელოვანია, როდესაც საქართველოსთვის MAP-ის მინიჭების საკითხი პირდაპირ იქნა დაყენებული.

რა შემთხვევაში შეიძლება მიიღოს საქართველომ გაწევრიანების სამოქმედო გეგმა და მიიღებს თუ არა ქვეყანა გერმანიის მხარდაჭერას ვარშავის სამიტზე? ამ საკითხებთან დაკავშირებით გიორგი მუჩაიძე გვესაუბრება.

— თავდაცვის მინისტრის განცხადებით, მისი მოლოდინები ვარშავის სამიტის შედეგებში აისახება. თქვენი მოლოდინი როგორია, მიიღებს საქართველო ვარშავის სამიტზე MAP-ს?— მივესალმები ასეთ შემართებას, რომ MAP-ის საკითხი ასე პირდაპირ იქნა დაყენებული. ადრე იყო საუბრები იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ნატოში გაწევრება MAP-ის გარეშეც მოხდებოდა. კარგია, რომ დღეს რეალურ თემაზე მოხდა კონცენტრირება და პრინციპულ საკითხად დაყენა თავდაცვის სამინისტრომ ნატოს პარტნიორების წინაშე ეს საკითხი, მაგრამ საკითხის დაყენება არ არის საკმარისი, რადგან ერთია საკითხის დაყენება, მეორეა იმ საშინაო დავალების შესრულება, რომელიც წინ წაწევს MAP-ის მინიჭების საკითხის დადებითად გადაწყვეტას.

— ქვეყანამ, რომელიც იმედებს ამყარებს ვარშავის სამიტზე, რა ნაბიჯები უნდა გადადგას იმისათვის, რომ ეს მოლოდინები გამართლდეს და გადავიდეთ ნატოსთან ურთიერთობის თვისობრივად ახალ ეტაპზე? ანალიტიკოსები ხაზგასმით აცხადებენ, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მზად არის იმისათვის, რომ მიიღოს გაწევრების სამოქმედო გეგმა...

— ნამდვილად, თავდაცვის სამინისტრო შედარებით წინ არის წასული. პრობლემები არის სხვა მიმართულებით, მათ შორის დემოკრატული რეფორმის კუთხით, როგორიც არის შსს-ს, პროკურატურის და სასამართლოს რეფორმა. ბატონმა ვერშბოუმ საქართველოში ვიზიტის ფარგლებში ძალიან კონკრეტულად თქვა, რომ ნატო თვალ-ყურს ადევნებს ამ სფეროებში რეფორმირებას. ის, რაც დღესდღეობით ხდება, იგივე უშიშროების სამინისტროს გამოყოფასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, ეს არანაირად არ არის წინ გადადგმული ნაბიჯი. ტექნიკური მექანიკური გაყოფა არ ჩაითვლება პროგრესად.

გარდა ამისა, იგივე საგარეო ურთიერთობის კუთხით საჭიროა მეტი აქტიურობა სკეპტიკურ ქვეყნებთან. მათ შორის ევროპის ლიდერთან — გერმანიასთან. ასევე, — ურთიერთობა ჩვენს მომხრე მხარდამჭერ ქვეყნებთან, მეტი აქტიურობა და მობილიზაცია, რომ ხელი შევუწყოთ მათ მიერ ჩვენს ადვოკატირებას. აუცილებელია საგარეო საქმეთა სამინისტროს აქტიურობის გაზრდა. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება შედეგზე ფიქრი და გვქონდეს MAP-ის მოლოდინი ვარშავის სამიტზე.

რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, რომ ეს საკითხი პირდაპირ დადგა და არ ვეფარებით იმ ილუზიებს, რომ MAP-ის გარეშეც შეიძლება ნატოში გაწევრება. კი ბატონო, გაწევრიანების გადაწყვეტილება მიღებულია ბუქარესტის სამიტზე, მაგრამ MAP არის ის სავალდებულო ინსტრუმენტი, რომლის გავლაც აუცილებელია ჩვენი ნატოში გაწევრებისთვის.

— როგორც ცნობილია, ვარშავის სამიტზე საქართველოსთვის MAP-ის მინიჭების ინიციატივით გამოვიდა თურქეთი. თუ გავითვალისწინებთ გერმანია-რუსეთის ურთიერთობას, შესაძლებელია, რომ თურქეთის მსგავსად გერმანიაც გამოვიდეს საქართველოსთვის MAP-ის მინიჭების ინიციატივით?

— კარგია, რომ თურქეთმა ეს საკითხი კიდევ უფრო აქტიურად წამოსწია. რაც შეეხება გერმანიას, ეს ძალიან მძიმეწონოსანი ქვეყანა როგორც პოლიტიკაში, ასევე დიპლომატიაში წარმოადგენს ევროპის ლიდერს. შესაბამისად, მისი პოზიცია ძალიან მნიშვნელოვანი გავლენის მომხდენი იქნება საქართველოს მხარდაჭერის დინამიკაზე. რაც შეეხება გერმანიის მხარდაჭერის შანსებს, დღეს გერმანიაში სიტუაცია შეცვლილია რუსეთთან მიმართებაში. უკვე ძალიან ერთმნიშვნელოვნად ცხადდება, რომ რუსეთის მიერ განხორციელებული ნაბიჯები, აშკარად ურტყამს მსოფლიო უსაფრთხოებას და საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

ჩვენ ამას წინათ გვქონდა გერმანულ-ქართული სტრატეგიული წლიური შეხვედრა, სადაც გერმანელმა კოლეგებმა აღიარეს, რომ რუსეთთან მიმართებაში რადიკალურად შეცვლილია სიტუაცია. მეტი აღქმაა იმისა, რომ რუსეთისგან მოდის საფრთხე, იქმნება იმის გარემო, რომ ჩვენი აქტიურობით შეიძლება, წინსვლას მივაღწიოთ მხარდაჭერის კუთხით. დღეს ამისთვის უფრო პოზიტიური გარემო და ვითარებაა, ვიდრე იყო ერთი წლის წინათ. ეს ერთმნიშვნელოვნად დაგვიდასტურეს ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა.

— ანუ, პირველ რიგში, სამუშაო არის ბერლინში, რადგან ბერლინის პოზიციას აქვს ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ვარშავის სამიტზე, მიიღებს თუ არა საქართველო MAP-ს...

— დიახ ასეა. ჩემი აზრით, გადამწყვეტი იქნება გერმანიის პოზიცია. გერმანია ყოველთვის იყო ლიდერი სახელმწიფო, მის პოზიციას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა — უმრავლეს შემთხვევაში მისი პოზიცია გადიოდა. დიახ, მე ასე ვფიქრობ, რომ გერმანიის მიერ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, MAP-ის მიღების შანსები საგრძნობლად გაიზრდება.

— დღევანდელი გადასახედიდან შესაძლებელია ითქვას, რომ საქართველო მიიღებს გერმანიის მხარდაჭერას?

— ჩვენი აქტიური მუშაობის შემთხვევაში მხარდაჭერა იქნება, მაგრამ ასეთი ნაკლები ინტენსივობით, როგორც დღეს მიდის მუშაობა ამ მიმართულებით, ამის ძალიან ნაკლები იმედი მაქვს.

ესაუბრა
თამარ ქარჩაიძე

◎ ალიან-ჩალიანი

თბილისის ბაგა-ბაღები სწავლების ახალ მეთოდზე გადადიან

თბილისის ყველა ბაგა-ბაღი შესაძლოა, სწავლების ახალ მეთოდზე გადავიდეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირიდან აცნობეს, ახალი მეთოდი არის იტალიის საბავშვო ბაღებში აპრობირებული სწავლება, რომელსაც „რეჯიო-ემილიას მეთოდს“ უწოდებენ.

ამ სისტემაში მნიშვნელოვანია საალმზრდელო ჯგუფების ინტერიერი, რომელიც რეკომენდებულია ჯანსაღი ფსიქიკის განვითარებისთვის. რეჯიოს ოთახების მოწყობილობა მთლიანად ბუნებრივი მასალისაა. ნატურალურ ფერებშია კედლები და სხვა საჭირო ნივთები. ასევე, საგნები, რომლებსაც ბავშვები სათამაშოდ და სხვადასხვა ნივთების შესაქმნელად იყენებენ.

როგორც პროფკავშირებში აცხადებენ, თბილისის მე-6 ბაგა-ბაღში სწავლების ახალი მეთოდოლოგიის პილოტირება უკვე დაიწყო. მე-6 ბაღის დირექტორის ინოვაციურ მიდგომას ხვალ სხვა ბაღების წარმომადგენლები გაეცნობიან.

ღონისძიება საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ინიციატივით ეწყობა.

კადეტთა სამხედრო ლიცეუმში სასწავლო წელი დასრულდა

გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის მეოთხე გამოშვების კურსდამთავრებულებს სასწავლებლის წარმატებით დასრულება საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის პირველმა მოადგილემ, ბრიგადის გენერალმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამ მიულოცა.

საზეიმო ცერემონიალის დასასრულ ლიცეუმის კურსდამთავრებულებმა საჩუქრად წიგნები — „გენერლები საქართველოდან“ და „ჩვენი ფასეულობანი - საქართველოს ბუნება“ მიიღეს. კადეტებს სასწავლო კურსის დასრულების დამადასტურებელი სერტიფიკატებიც გადაეცათ.

ღონისძიებას საქართველოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები და კადეტების ოჯახის წევრები დაესწრნენ. კურსის გამოშვების ცერემონილი კადეტების მიერ წარმოდგენილი კონცერტით დასრულდა.

წელს კადეტთა სამხედრო ლიცეუმი 84-მა კადეტმა დაამთავრა. მათი უმრავლესობა დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში გეგმავს სწავლის გაგრძელებას. კადეტი რადიონ ცხაკაია კი აშშ-ის საზღვაო აკადემიაში უკვე ჩაირიცხა და ახლო მომავალში აშშ-ში გაემგზავრება.

რა კაცი დავკარგეთ?

უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილ მოადგილეს გიორგი ლორთქიფანიძეს უკრაინის მოქალაქეობა მიანიჭა. შესაბამისი ბრძანება პრეზიდენტის ოფიციალურ ვებგვერდზე უკვე გამოქვეყნდა.

„უკრაინის კონსტიტუციის 106-ე მუხლის 26-ე პუნქტის და უკრაინის მოქალაქეობის შესახებ კანონის მე-9 მუხლის მიხედვით, მოქალაქეობა მიენიჭა საქართველოს მოქალაქეს, 1968 წელს დაბადებულ გიორგი ლორთქიფანიძეს, რომელიც ცხოვრობს კიევში“, — ნათქვამია პრეზიდენტის ბრძანებაში.

რამდენიმე დღის წინათ ოდესის გუბერნატორმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ იგი ოლქის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსად გიორგი ლორთქიფანიძეს ნიშნავს.

გია ლორთქიფანიძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის პოსტს სწორედ სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში იკავებდა.

ინტერპრესი

◎ კაკალ გულში

ნეტიზენური თქმანები

● **SMS-ებით რომ ავირჩიოთ პარლამენტი, არა?**

ბიუჯეტშიც ფული შევა, არც ყუთებს მოიპარავენ, არც ამდენი კომისია და დამკვირვებელი დაგვჭირდება დ.ა.შ.

● **მთის სამინისტრომ სალამურების დიდი პარტიის შეძენაზე ტენდერი გამოაცხადა!**

● **რა საჭიროა პარლამენტი, რომელიც მთელი დღის განმავლობაში რეგისტრაციის გავლას ვერ ახერხებს?**

ეს ვარლამის პარლამენტია?

● **„წამოვხტეთ და მაგიდაზე ავიდეთ ამ ძალადობის სისტემის წინააღმდეგ!“**

ირაკლი კაკაბაძის მანიფესტიდან.

ვინც ჯერ კიდევ არ ასულხართ მაგიდაზე, — სასწრაფოდ წამოხტით და ადით! მაგიდაზე ასვლა გადაარჩენს საქართველოს!

● **ომი ჩვენ არ გვცოდნია და საჭმელი არ გვაქვს და ეს ძილის მინისტრი მაინც დაგვინიშნონ დროზე, თორემ გლახადაა საქმე...**

● **გია ჯაჯანიძე ისე იძახის, საერთო ხედი მომეცი, თითქოს მაიკ ფელპსის აღნაგობა ჰქონდეს...**

● **ვერ გავიგე რატომ დაატყდნენ თავს ქეთი დოლიძეს ლანძღვა-გინებით, წავიკითხე ეს მისი სტატუსი ემიგრაციაზე და ვერაფერი შეურაცხმყოფელი ვერ შევამჩნიე ქართველი ემიგრაციის მიმართ.**

ერთადერთი მას არა აქვს ნათლად დაკონკრეტებული ის, რომ პოლიტემიგრანტი და სხვა სახის მიგრანტი სხვადასხვა მოვლენაა, სულ ესაა.

გამაგებინეთ, რა არის ამაში შეურაცხმყოფელი, ასე ბოროტად რომ ლანძღავენ ამ ადამიანს?

მინდა გითხრათ, ქეთი დოლიძე რომ არა, ქართული თეატრი ასეთი ცნობილი არ იქნებოდა უცხოეთში, ქეთი მისი ექსპანსიური ურთიერთობის მანერის მიუხედავად, ძალიან კეთილი და გულიანი ადამიანია და ბევრი სიკეთე აქვს გაკეთებული ქართული კულტურის სფეროში, კერძოდ, ქართული თეატრისათვის და ჩემს მოვალეობად ვთვლი, გამოვექომაგო, როგორც კარგ ადამიანს და მეგობარს!!!

● **მოვილოცე დღევანდელი ნიუსფიდი, ზოგს დავულაიქე, ზოგს დავუკომეტე, თან ქართული თეატრის მომავალზეც ვზრუნავდი პარალელურად, ესკიზებს ვხატავდი, თიკო თვალაძეც მოვინახულე წვრილშვილთან ერთად, ისე ბავშვები მეც მყავს, ხეებს ნარმანია რგავს, ტყეს რესპები შეუნახავენ შვილებსა, ბიძინა ნიკალას მიხედავს.... არა, ვერ მოვითმენ მაინც, ერთი ხინჯი კი გამყვება, საყდრისი რატომ დაანგრიეთ, თქვე დედააფეთქებულებო, თქვენა!!!**

აი ასე!!!

წავედი ახლა რამე ფილმს ვნახავ.

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ქვეგუდანთა გალერეა

კახა კუკავა – პოლიტიკისთვის შეუფერებელი ინდივიდი

ამ ინდივიდისადმი სათაურში გამოთქმული მოსაზრება რბილად არის გამოხატული. მის პერსონაზე კიდევ უფრო მკაცრი, შესატყვისი შეფასებებია მისაღები, თორემ რა გამოვიდა – კუკავასნაირმა ვითომ პოლიტიკოსებმა კატასტროფამდე მიიყვანეს ქვეყანა. თუ უმოკლეს დროში მისნაირ პოლიტიკოსებს ქართველი ხალხი პოლიტიკური სარბიელიდან გუდა-ნაბადს არ აუკრავს, კვლავ მივიღებთ ქაოსს და სამოქალაქო ომს. ყოვლად დაუშვებელია ქართველმა ხალხმა პოლიტიკურად გაუნათლებელ და უმეცარ ალასანიას და კუკავას ჭკუაზე იაროს.

ერთხელ ალასანიამ თქვა: ივანიშვილთან მძიმე საუბარი მქონდაო. ამაზე კარგად შენიშნა ერთმა – ვისთან გქონდა, შე უმეცარო, მძიმე საუბარი, ხომ უნდა იცოდე, ვინ არის შენი სწორი და ტოლიო. მართალია, ბატონი ბიძინა სალაპარაკოდ არასოდეს დაჯდება კუკავასთან. იგი ფინიასავით შორიდან წკავწკავობს, მაგრამ ესეც საქართველოს მტრებზე – სააკისტების წისქვილზე უშვებს წყალს. თან ქართველი ხალხის სახელით მოუწოდებს ყველას, გამონახონ პოლიტიკიდან ივანიშვილის გაძევების გზები. ყველა დამეთანხმება, ამგვარი ფიქრისთვისაც კი კუკავამ ქართველი ხალხის წინაშე მორალური პასუხი უნდა აგოს.



სააკაშვილის დამმარცხებელ ადამიანსა მოიხსენიებს აუგად, რომელსაც ზურგს უმაგრებდა სამასმილიონიანი აშშ და ხუთასმილიონიანი ევროპა. ვინმემ ანტიამერიკელობა ან ანტიევროპელობა რომ არ დამწამოს, აქვე ვიტყვი, რასაკვირველია, ჩვენ გვსურს კარგი ურთიერთობის დამყარება ზემოხსენებულ სახელმწიფოებთან, მაგრამ ყურმოჭრილი მარიონეტების – სააკაშვილისა და ალასანიას გარეშე, რომლებიც კარიერის სანაცვლოდ ერის ინტერესებს უგულებელყოფენ.

ყველას კარგად მოეხსენება ივანიშვილის ღვაწლი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ქვეყანას მოაშორა შავი ჭირი სააკაშვილისა და მისი მომხრეების სახით, მაგრამ ჯერჯერობით არავის უხსენებია, ასე ვთქვათ, მეორე ღვაწლი – ყველა არასამთავრობო ფსევდოპარტიას ფუნქცია რომ დაუკარგა. ამ პარტიებს ზიანის მეტი არაფერი მოაქვთ ქვეყნისათვის, ისე კი, მათზე მილიონობით ლარი იხარჯება.

ბუნებრივია, ყველა საღად მოაზროვნე, კუკავასნაირ ინდივიდს პოლიტიკაში თანამოსაქმედ არავინ გაიხდის, ამიტომ სრულიად არ იყო გასაკვირი, როდესაც ივანიშვილმა კუკავასა და მისნაირი „პოლიტიკოსების“ იგნორირება მოახდინა. ასეთ ვითარებაში კუკავა თითქოს დიდსულოვნად მოიქცა და კვლავ წინანდებურად განაგრძო ივანიშვილის ქება-დიდება. რასაკვირველია, ამ მოჩვენებითმა დიდსულოვნებამ ბატონ ბიძინაზე არავითარი გავლენა არ იქონია. კუკავა მისი ყურადღების მიღმა დარჩა. შემდგომ ამისა, კუკავას „მოსაზრებებში“ კრიტიკის ნაპერწკალმა გაიელვა: ამ მეთოდმაც არ გაჭრა, მას ყურადღება კვლავ არავინ მიაქცია. აქ უკვე კუკავამ ყველაფერზე ხელი ჩაიქნია და ქართველ ხალხს ბიძინა ივანიშვილის დაპატიმრება, პოლიტიკიდან გაძევება მოუწოდა. ბატონო კახა, როდის აქეთ დაიწყო ქართველმა ხალხმა შენნაირი ვაიპოლიტიკოსების ჭკუაზე სიარული? – გვიპასუხე, თუ ღმერთი გწამს!

მოკლედ, ასეთია ამ ფსევდოპოლიტიკოსის გონების მეტამორფოზა.

უბრალო ენით რომ ვთქვათ, კუკავას ქმედებამ ცნობილი მანასე გამახსენა (ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო).

კუკავას გონებაში, ალბათ, ქართული ანდაზაც ამოტივტივდა – გაჭირვებული კაცი ხავსს ებღაუჭებოდაო... პოლიტიკური ქულების დასაგროვებლად ზვიად გამსახურდიას ავტორიტეტის გამოყენება სცადა – დაბეჯითებით მოითხოვა თბილისის აეროპორტისთვის გამსახურდიას სახელის დარქმევა. აქაც ალღოიანობამ უმტყუნა – გამოვიდნენ გამსახურდიას გულწრფელი მხარდამჭერები და განაცხადეს: ზვიადი რომ ცოცხალი იყოს, იგი პირველი იქნებოდა, რომელიც აეროპორტისთვის შოთა რუსთაველის სახელის მინიჭებას მხარს დაუჭერდაო. როგორც ვხედავთ, აქაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდა და საკითხავია, ამჟამად რა მეთოდს მიმართავს ის პოლიტიკის სარბიელზე თავის დასარჩენად.

რა თქმა უნდა, რამდენიმე ათეული მხარდამჭერი კუკავასაც ეყოლება, რომლებიც წინამდებარე სტატიის წაკითხვის შემდეგ გულნატკენი განაცხადებენ: ნუთუ კუკავას ივანიშვილისადმი კრიტიკაში სიმართლის მარცვალი არ მოიძებნება? კრიტიკა ადვილია. სკოლის მოსწავლესაც შეუძლია რეალობა დაინახოს და კრიტიკული შენიშვნები გააკეთოს ამა თუ იმ მოვლენაზე. მთავარია, მოვლენების განვითარებას კომპლექსურად მიუდგე და პრობლემები გადაჭრა თანამიმდევრულად და ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით, რაც ასე აკლია კუკავას და მისნაირ პოლიტიკოსებს. თუკი ის განაცხადებს, ყველაფერი შემიძლია, რაც თანამედროვე პოლიტიკოსს მოეთხოვებაო, თქვას, რა ეწოდებოდა საბჭოთა კავშირში დამკვიდრებულ ფორმაციას. ვიცი, განაცხადებს, კომუნისტურიო, უკეთეს შემთხვევაში დაასახელებს სოციალისტურს ან ბოლშევიკურს, როგორც ამას სჩადიან უმეცარი პოლიტიკოსები. განსაზღვროს რომელი პოლიტიკური ფორმაცია მიესადაგება საქართველოს დღევანდელ რეალობას. მეცნიერულად, ფილოსოფიურად, გნებავთ, სამყაროსეული გაგებით დაამტკიცოს დასახელებული ფორმაციის ვარგისიანობა მოცემული მომენტისთვის; დაასახელოს პირველ და მეორე რიგში გადასაწყვეტი პრობლემები, ჩამოთვალოს ის ძირითადი ობიექტური ფაქტორები, რამაც საქართველოს სირთულეები შეუქმნა. სწორად გააანალიზოს უახლესი წარსულისა და აწმყოს მოვლენები. შესაბამისად მართებული დასკვნები გააკეთოს, დასახოს მომავლის განვითარების გზები. რასაკვირველია, კუკავასნაირი პოლიტიკოსებისთვის ამგვარი წიაღსვლები უცხო ხილია, მაგრამ მათთვის ძნელად ასახსნელი არ უნდა იყოს ის რეალობა, რომ უპირველესად ქვეყნის წინაშე დგას ერთი ამოცანა – ამოიძირკვოს სააკაშვილის რეჟიმის ფესვები და არ დაიშვას მის მაგივრად მეორე მარიონეტის – ალასანიას აღზევება. ამისთვის საჭიროა მთელი ქვეყნის მოსახლეობის გაერთიანება და არა სააკაშვილის წისქვილზე წყლის მიშვება.

ონისე მწარიაშვილი.

P. S. შეიძლება, თქვან, რა მაგის პასუხიაო, მაგრამ მსურს მკითხველს ვაუწყო, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში იალტის გრადონაჩალნიკი (ქალაქისთავი) იყო ივანე დუმბაძე. მისი გვარი მოხსენიებული აქვთ ტოლსტოის და გორკის, რა თქმა უნდა, დადებით კონტექსტში. გამოჩენილი მწერლების პერსონაჟები დაახლოებით ასე მოიხსენიებენ ჩვენებურს: „ყირიმში ყოფნისას აუცილებლად შევუვლიდი გრადონაჩალნიკ ივანე დუმბაძეს, ყოველმხრივ განვითარებული ინტელექტუალი იყო, მასთან საუბარი სულიერ სიმშვიდეს მგვრიდა“... ეს ისტორიული ფაქტი იმიტომ შევახსენე მკითხველს, რომ სააკაშვილმა კიდევ ერთი ტყუილი თქვა – ოდესის გუბერნატორი ქართველი იყოო. მას რომ სცოდნოდა ივანე დუმბაძის შესახებ, ოდესელებს მრავალგზის ამცნობდა მის შესახებ.

ო. ბ.

◎ საქართველოს ამბები

ატენში სეტყვამ დიდი ზარალი გამოიწვია

გორის რაიონში სტიქიის შედეგების ლიკვიდაციისთვის კონკრეტულ სამოქმედო გეგმას შეიმუშავებენ. ბოლო სამი კვირის განმავლობაში ყველაზე მძიმე შედეგები გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში ხუთშაბათ ღამით მოსულმა ძლიერმა სეტყვამ და წვიმამ გამოიწვია.

ძირითადად დაზარალებულია ატენის ხეობის რამდენიმე სოფელი. სეტყვამ ატენში ვენახები და ხეხილის ბაღები დააზიანა. ადიდებულმა მდინარემ დატბორა ბოსტნეული კულტურები, ასევე ძირიანად მოგლიჯა მრავალწლიანი ნარგავები და დატბორა საცხოვრებელი სახლები. მთიდან წამოსულმა ნიაღვარმა და ქვა-ღორღმა სოფლების ოლოზისა და ღვარების მიმართულებით სასოფლო გზები ჩაკეტა. დახოცილია შინაური ფრინველი. ადგილობრივი მოსახლეობა ამბობს, რომ ზარალი საკმაოდ დიდია და სტიქიის შედეგების ლიკვიდაციას საკუთარი ძალებით ვერ შეძლებენ.

სტიქიამ ადიგენის, ახალციხისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტებს შეუტია

ძლიერმა სეტყვამ და წვიმამ ადიგენის, ახალციხისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტების სოფლები დააზიანა. სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორმა აკაკი მაჭუტიძემ განაცხადა, ძლიერმა წვიმამ და ძლიერმა სეტყვამ, რომელიც ერთდროულად მოვიდა, აღნიშნული რაიონების ბევრ სოფელში გაანადგურა ნათესები, დააზიანა გზები, საცხოვრებელ სახლებში შევარდა წყალი, დაიხოცა ფრინველი.

მისივე თქმით, სტიქიურმა მოვლენამ ყველაზე მეტი ზიანი მიაყენა ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფლებს: დვირს, საკირესა და ტაძრისს. გუბერნატორის ინფორმაციით, ამ დროისთვის მიმდინარეობს ზარალის დათვლისა და გაწმენდითი სამუშაოები.

ჩვენთან მოსაპარი არაფერია და... ევროპას შეესივნენ

ქართველთა დანაშაულებრივი ჯგუფები თავშესაფრის მინიჭების პროცედურებისთვის საჭირო დროს კრიმინალური საქმიანობისთვის იყენებენ. ამის შესახებ გერმანული გამოცემა Jungefreiheit.de წერს.

მაისის შუა რიცხვებში პოლიციამ ხუთი ქართველი თავშესაფრის მაძიებელი დააკავა მაშინ, როდესაც მათ ქალაქ კობლენცში მაღაზია გატეხეს და 7 000 ევროს ღირებულების თამბაქოს ნაწარმი მოიპარეს. მომხდარის შემდეგ რაინლანდ-პფალცის რეგიონის შინაგან საქმეთა მინისტრმა როჯერ ლევენცმა ფედერალურ მთავრობას მოუწოდა, დააჩქაროს თავშესაფრის მინიჭების პროცედურები.

გერმანული გამოცემა Focus.de-ს ცნობით, ქართველები ძირითადად ძარცვასა და ქურდობაში არიან ეჭვმიტანილები. რაინლანდ-პფალცის რეგიონის მთავრობის ცნობით, ქართველების მიერ მსგავსი დანაშაულების ჩადენის შემთხვევები დრამატულად იზრდება. მათივე ცნობით, მხოლოდ გასულ წელს აღნიშნულ რეგიონში ქართველების მიერ ჩადენილი 1 067 დანაშაულია რეგისტრირებული, რაც ორი წლის წინანდელ მონაცემებთან შედარებით დაახლოებით ათჯერ მეტია. Focus.de-ს ცნობით, ქვეყნის მასშტაბით კი წლის განმავლობაში ქართველი დამნაშავეები დაახლოებით 250 მილიონი ევროს ღირებულების პროდუქციას იპარავენ. ყველაზე ხშირია თამბაქოს, კოსმეტიკის და ალკოჰოლური სასმელების მოპარვის შემთხვევები. სამართალდამცავი უწყებების ცნობით, არალეგალურად ან ტურისტების სტატუსით ჩასული ქართველები თავშესაფრის მინიჭების პროცედურების დასრულებამდე დროს სწორედ დანაშაულების ჩადენისთვის იყენებენ.

სახელმწიფოს საგარეო ვალის მოცულობა შემცირდა

ფინანსთა სამინისტროს უწყების ვებგვერდზე გამოქვეყნებული სახელმწიფო ვალის სტატისტიკური მონაცემებით ირკვევა, რომ 2014 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მიმდინარე წლის მაისში საგარეო ვალი 80 მილიონ 705 ათასი დოლარით შემცირდა.

რაც შეეხება მიმდინარე წლის აპრილთან შედარებით, 2015 წლის მაისში სახელმწიფოს საგარეო ვალის მოცულობას, ეს მაჩვენებელი 13 მილიონ 203 ათასი დოლარით შემცირდა. 2015 წლის 31 მაისის მდგომარეობით, საქართველოს საგარეო ვალი 4 მილიარდ 26 დოლარს შეადგენს. აქედან, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ საქართველოს ვალდებულებები 2 მილიარდ 785 მილიონი აშშ დოლარია.

ბარათაშვილის ხიდზე მოძრაობა შეიზღუდება

დაიწყო ბარათაშვილის ხიდის რეაბილიტაცია. მიმდინარე სამუშაოები დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ და მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსმა ავთანდილ სუდაძემ დაათვალიერეს. პროექტის თანახმად, რეაბილიტაციის ვადად განსაზღვრულია 220 დღე. სარეაბილიტაციო პერიოდში საავტომობილო მოძრაობა ნაწილობრივ შეიზღუდება. როგორც დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ განაცხადა, ხიდზე მძიმე მდგომარეობაა, დაზიანების ხარისხი მაღალია.



მისივე თქმით, ხიდზე მოცულობითი სამუშაოები ჩატარდება, თავიდან ბოლომდე შეიცვლება ხიდის ის ძირითადი კონსტრუქციები, რაც მის მდგრადობასა და დაცვას უზრუნველყოფს. დედაქალაქის მერიის ინფორმაციით, ხიდს ჩაუტარდება სრული რეაბილიტაცია. პროექტი ითვალისწინებს ბარათაშვილის ხიდის სავალი და საფეხმავლო ნაწილის შეცვლას, ასევე მიწისქვეშა გადასვლელების სრულ რეაბილიტაციას. ბარათაშვილის ხიდის რეაბილიტაციისთვის დედაქალაქის ბიუჯეტიდან 2 250 000 ლარია გამოყოფილი. პროექტის თანახმად, ხელახლა გაკეთდება ჰიდროიზოლაცია, მოეწყობა ახალი ტროტუარები და მიწისქვეშა გადასასვლელები. სარეაბილიტაციო სამუშაოებს შპს „ენ სი სი“ აწარმოებს.

ინტერპრესი

◎ პოზიცია

გოგა ხაინდრავა: გიგაურო, ღირსების შელახვა იქ არის შესაძლებელი, სადაც ის არსებობს!



მაინც რატომ უჩივის „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ხელმძღვანელი ეკა გიგაური რეჟისორ გოგა ხაინდრავას და რამდენ „ვერცხლს“ ითხოვს მისგან, შეფერხდა თუ არა სამართლიანობის აღდგენა ქვეყანაში და რა გამოწვევების წინაშე დგას საქართველო, ამ და სხვა აქტუალურ თემაზე „რეპორტიორს“ რეჟისორი გოგა ხაინდრავა ესაუბრა:

— ამ დღეებში თბილისის საქალაქო სასამართლოდან მივიღე გზავნილი, გავეცანი მის შინაარსს და ცხონებული ნიკუშა გომელაურის ლექსი გამახსენდა, რომელიც ამბობს, რომ „ამ ქალაქში ყველაფერი მოსულა, აქ ჯამლეტამ ბონდო დააორსულა“... ძალიან უხდება დღევანდელ ყოფას და ვითარებას ნიკუშას ეს ლექსი. კაპიტანმა გიგაურმა სასამართლოში მიჩივლა და მომივიდა გზავნილი, სადაც საუბარია, რომ პატივისა და ღირსების შელახვისთვის ითხოვს 30 თეთრს, ანუ 30 ვერცხლს და ბოდიშის მოხდას. რაც შეეხება 30 ვერცხლს, მისამართი შეეშალა, მე ნამდვილად არ ვაპირებ და მას უკვე მიღებული აქვს ბევრი ასეთი 30 ვერცხლი იმ ადამიანებისგან, ვინც ვერცხლებს არიგებს. რაც შეეხება ბოდიშის მოხდას, ბოდიშის მოხდას მთხოვს ის ადამიანი, რომელიც თითქოსდა ადამიანის უფლებებს იცავს. ეს ადამიანი ბოდიშის მოხდას მთხოვს შემდეგზე, რომ 2007 წლის 13 ნოემბრის წერილის საფუძველზე ვანო მერაბიშვილი სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოადგილეს, უფროს ლეიტენანტ ეკა სიმონის ასულ გიგაურს ვადაზე ადრე ანიჭებს სასაზღვრო პოლიციის კაპიტნის წოდებას. ეს დოკუმენტი გამოვამზეურე და ამ ადამიანის ლოგიკით ეს ყოფილა ღირსების შელახვა. ღირსების შელახვა იქ არის შესაძლებელი, სადაც ღირსება არსებობს! სადაც ვანო მერაბიშვილი ბრძანებებს გასცემდა, ღირსება არ არსებობდა. 14 ნოემბერს სულ რომ მამა აბრამის ბატკანი ყოფილიყავი ადამიანი, ვანო მერაბიშვილის წახალისების მიღება და მით უმეტეს ამის შერგება, როგორც კაპიტანმა გიგაურმა შეირგო, ჩემი ღრმა რწმენით, არის აბსოლუტური უთავმოყვარეობა. ეს არის ის დღეები, როდესაც მთელი მსოფლიო შფოთავს იმაზე, რაც მოხდა თბილისში. საქართველო და დედაქალაქი იშუშებს იმ მრავალრიცხოვან დაზიანებებს, რომელიც ამ მხეცებმა მიაყენეს ქართველ საზოგადოებას, როგორც ფიზიკური, ასევე მორალური და ამის ჩამდენი და მიმღები ადამიანი, მე მელაპარაკება ღირსებაზე. იმიტომ გავიხსენე ნიკო გომელაურის ლექსი, რომ ამ ქალაქში მართლაც ყველაფერი მოსულა. შემდეგ ლაპარაკია, რომ თითქოს მე ქალბატონი კაპიტანი დავადანაშაულე 7 ნოემბრის აქციის მონაწილეობაში. ეს არის სიცრუე, ისევე როგორც სიცრუეა მთელი ეს საბუთი.

ყველაზე საინტერესოა, რომ ამ სარჩელში გაერთიანებული ვართ მე და ვინმე გურამ ადამაშვილი, რომელიც თვალით არ მინახავს არასდროს და არც ვიცი ვინაა. ამ ბატონსაც, როგორც აქ წერია, განუცხადებია მსგავსი რამ.

ძალიან მიხარია, რომ ეს საქმე მივიდა სასამართლომდე. ამ შესაძლებლობას ხელიდან არ გავუშვებ და ყველას მიეცემა საშუალება, ნახოს, თუ როგორ ფასდება ღირსება დღეს საქართველოში. ვფიქრობ, ქალბატონ გიგაურს ძალიან საინტერესო დღეები ელოდება.

— აქვე სამართლიანობის აღდგენის პროცესიც განვიხილოთ. ექსპრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ სამართლიანობის აღდგენა დროში გაიწელა. თქვენ რას ფიქრობთ?

— სამართლიანობის აღდგენა საერთოდ უფრო ხმამაღალი სიტყვებია, ვიდრე რეალურად შესაძლებელი ქმედება, რადგან სამართალი მე ამ ქვეყანაში ნაკლებად მახსოვს რომ ყოფილიყო. ბუნებრივია, რომ არის უამრავი დაზარალებული ადამიანი, რომელსაც როგორც მორალური, ისე ფიზიკური და მატერიალური ზარალი მიაყენა სააკაშვილის ბოროტმა რეჟიმმა და ამ ხარვეზების გამოსწორება მარტივი პროცესი არაა. ეს არაა მარტივი, მით უმეტეს მაშინ, როდესაც საქართველოს თავს ჰქონდა მოხვეული ე.წ. კოჰაბიტაციის პროცესი, რაც, ასე ვთქვათ, დასავლეთის პრინციპული მოთხოვნა იყო. საქართველოს არ შესწევდა უნარი დამოუკიდებლად გადაელახა ეს ბარიერი და უარი ეთქვა ამ შემოთავაზებაზე. ამიტომ გაიწელა ახლა ეს პროცესი და ეს ბუნებრივია. თუმცა, კარგი იქნებოდა ეს ყველაფერი აქამდე განხორციელებულიყო. მაგრამ ხშირად საჩივრები მისდიოდათ იმ ადამიანებს, ვინც თავად მონაწილეობდნენ იმ არასამართლებრივ პროცესებში და უკანონოდ ართმევდნენ ქონებას ხალხს. აქ თუნდაც გიორგი ქადაგიძის მაგალითია ძალიან საინტერესო. ეს არის ადამიანი, რომელიც რამდენიმე ბანკის გაკოტრებაში პირდაპირ მონაწილეობდა. მთელი მსოფლიოს თვალწინ ეს ყაჩაღური რეჟიმი პატარკაციშვილს, ივანიშვილსა და „სახალხო ბანკის“ მეპატრონეებს პირდაპირ ართმევდა ქონებას და ამაში უშუალოდ მონაწილეობდა ქადაგიძე. დღეს კი ის გვევლინება როგორც საერთაშორისოდ აღიარებული საფინანსო სისტემის ხელმძღვანელი, რომელიც, თურმე, გამართულად მუშაობს და უამრავი აპოლოგეტი გამოუჩნდა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან პოლიტიკური კორუფციის მასშტაბები მსოფლიოში არნახულადაა გაზრდილი, განსაკუთრებით კი დაბალგანვითარებად ქვეყნებში. ასევეა პოლიტიკური თვალსაზრისით ის მხარდაჭერა, რომელსაც დღეს ჩვენ ვხედავთ კრიმინალში დადანაშაულებული პოლიტიკოსების მიმართ. ეს ყველაფერი თავად მსოფლიო სამართლებრივ სისტემას აზარალებს. ჩემი აზრით, ინტერპოლმა მოკლა თავისი თავი და თავისი ორგანიზაცია, მაშინ როდესაც ადეიშვილი წითელი ცირკულარით ძებნილთა სიიდან ამოიღო.

ერთიც. სააკაშვილის ოდესაში დანიშვნა მეტყველებს, რომ სააკაშვილი ძალიან მალე ოდესას რუსეთს ჩააბარებს. ამას ლაპარაკი არ უნდა, ეს არის თვეების საკითხი. ახალ წლამდე ეს უდავოდ განხორციელდება. ესაა სააკაშვილის მთავარი დანიშნულება და ამისთვისაა იგი მხარდაჭერილი მთელი ამ დროის განმავლობაში. მან უნდა განახორციელოს იმის დავალებები, ვისთანაც ის გაიზარდა, ვისთანაც ახლოსაა და ვისთანაც დაკავშირებულია მთელი თავის ცხოვრებით და სასუნთქი მილით. ეს არის უშიშროების სამსახური და ეს დავალებაც მათგან აქვს მიღებული. ოდესის თემა ძალიან მალე დამთავრდება რუსეთის სასიკეთოდ და უკრაინის საუბედუროდ.

ესაუბრა
ნინო სტეფანიშვილი

◎ წინასაარჩევნო ციებ-ცხელება

ხელისუფლება ისევ ძველს ებღაუჭება

მოახლოებულმა საპარლამენტო არჩევნებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ლარის გაუფასურებით ისედაც დაზარალებულ-დაძმარებულ საზოგადოებაში აჟიოტაჟის ახალი ტალღა ააგორა. ამ პროცესში განსაკუთრებულად აქტიურობს არასაპარლამენტო ოპოზიცია, რომელიც მაჟორიტარული სისტემის გაუქმების მოთხოვნით შემოდგომიდან მასობრივ საპროტესტო გამოსვლებს გეგმავს. მანამდე კი ირწმუნებიან, რომ „ქართულ ოცნებას“ დისკომფორტს შეუქმნიან და ხელისუფლებას გადაწყვეტილების შეცვლას აიძულებენ.

შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით აზრის გამოთქმა ვთხოვეთ ჩვენი გაზეთის აქტიურ ავტორსა და რესპონდენტს, ცნობილ ეკონომისტსა და პუბლიცისტს — **ანზორ ბაბუხადიას,** რომელსაც არჩევნების თემასთან „ახლო მეგობრობა“ აკავშირებს. ამის დასტურია მისი ავტორობით პრესაში სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ისეთი გახმაურებული სტატიები, როგორებიცაა: „პოლიტიკოსები იწყებენ ქურდობას, ქურდები — პოლიტიკურ საქმიანობას“, „სამჯერ წავიტეხეთ ფეხი, სამჯერ ვერ ავირჩიეთ რიგიანი პარლამენტი“, „ამ პროგრამით „ტაძრამდე“ ვერ მივალთ“, „პრეტედენტებს — მხოლოდ თანაბარი პირობები“, „ნაციონალებს ხმას არ მივცემ“, „რასაც ეს მთავრობა აკეთებს, ეს არის ქვეყნისა და ხალხის ღალატი“, „არჩევნები, ო ეს არჩევნები“ — ღია წერილი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს.

— ბატონო ანზორ, — ამ წერილების სათაურიდანაც კარგად ჩანს, თქვენი კრიტიკული დამოკიდებულება საქართველოში დღემდე მოქმედი საარჩევნო სისტემისადმი, მაგრამ, საინტერესოა, რა კომენტარს გაუკეთებდით საქართველოს პარლამენტის მიერ ამ დღეებში მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც ქვეყანაში არჩევნების პროპორციულ სისტემაზე გადასვლა 2020 წლამდე გადაიდო. 2016 წლის არჩევნები კი ძველებურად, მაჟორიტარული და პროპორციული სისტემით ჩატარდება. თუმცა, ოლქების ამომრჩეველთა რაოდენობას შორის არსებული დისბალანსი შემცირდება და 50-პროცენტიანი ბარიერი დაწესდება. როგორ ფიქრობთ, ამ პროგრამით ამჯერად მაინც მივალთ დათქმულ „ტაძრამდე“?

— ვერა, რა თქმა უნდა, ვერ მივალთ. შემოთავაზებული ცვლილება არის არაადეკვატური და ემსახურება ერთ მიზანს — ცდილობენ, შეინარჩუნონ ის მავნე პრაქტიკა, რომელიც ნაციონალებს ჰქონდათ და შეეძლოთ ნაკლები ხმებით უმრავლესობის მოპოვება. სამწუხაროა, რომ ხელისუფლებამ გადაწყვეტილება დახურულ კარს მიღმა მიიღო. არჩევნებთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს კონსენსუსს.

— პარლამეტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განმარტებით, კარზე მომდგარი არჩევნების წინ რადიკალური ცვლილებები სასურველი არ არის. რა გვეჩქარება, აცხადებენ „ქართულ ოცნებაში“, აი, მოვა მომდევნო საპარლამენტო არჩევნები 2020 წლისთვის და მაშინ ძირეულად შევცვლით საარჩევნო სისტემასო. თქვენ რა, არ ეთანხმებით ამ მოსაზრებას?

— არა, კატეგორიულად არ ვეთანხმები. მით უფრო, რომ არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც დღეს მოქმედ საარჩევნო სისტემას არაკონსტიტუციურად აცხადებს. უსუფაშვილის პოზიცია, რომ კარზე მომდგარი არჩევნების დროს ასეთი რამ არ ხდებაო, არის ტყუილი. მიმაჩნია, რომ ფაქტობრივად ეს არის ხელოვნურად გაწელილი პროცესი იმისთვის, რომ ხელისუფლებამ მანდატები მოიპოვოს. ჩვენ ყველას გვახსოვს, თვითმმართველობის არჩევნებამდე ორი თვით ადრე განხორციელებული ცვლილებებით როგორ აირჩიეს პირდაპირი გზით მერები და გამგებლები. მაშინ რატომღაც არავის გახსენებია კარზე მომდგარი არჩევნები.

— ბატონო ანზორ, 2020 წელი ხომ არც ისე შორსაა?

— 2020 წელს რა მოხდება ეს „ოცნების“ გადასაწყვეტი არ გახლავთ. თუ ახლა არ შესწევთ იმის ძალა, რომ უვარგისი საარჩევნო სისტემა შეცვალონ, დარწმუნებული ვარ, ამის საშუალება მათ მომავალ პარლამენტში სულ არ ექნებათ. ვგულისხმობ საკონსტიტუციო უმრავლესობას, რასაც დაქვეითებული რეიტინგის მქონე „ოცნება“ სავარაუდოა, რომ 2020 წლის არჩევნებში ვეღარ მოიპოვებს.

ასე რომ, უმჯობესია, თავი დაანებონ ყურით მოთრეული არგუმენტებით საუბარს და ღიად თქვან, რომ „ქართულ ოცნებას“ უნდა შედარებით დაბალი რეიტინგით (45 პროცენტი) მიიღოს 75-80 პროცენტი, კონსტიტუციური უმრავლესობა ჩაიგდოს ხელში მოპარული მანდატებით და შემდეგ მთელი 4 წელი იყელყელაოს.

— ოპოზიცია სწორედ ამიტომ მოითხოვს მომავალ არჩევნებში მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას. მას მიაჩნია, რომ მაჟორიტარული ოლქები ყოველთვის აძლევდნენ ხელისუფლებას მანიპულირების საშუალებას. ამის მაგალითებად მოყავთ 2006, 2008-სა და 2010 წლების არჩევნები, როცა მმართველმა პარტიამ ბევრად მეტი მანდატი სწორედ მაჟორიტარების წყალოით მოიპოვა. ბატონო ანზორ, თქვენც ეთანხმებით იმ აზრს, რომ მაჟორიტარული სისტემა გასაუქმებელია?

— არა, არ ვეთანხმები. თავისთავად ცუდია, რომ ხელისუფლება მაჟორიტარებს მანიპულირებისთვის იყენებდა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მაჟორიტარული სისტემა უვარგისია და ის უნდა გაუქმდეს. მე პირიქით, მიმაჩნია, რომ მაჟორიტარებს, პარტიული სიით არჩეულ დეპუტატებთან შედარებით, უპირატესობაც აქვთ იმ გაგებით, რომ ისინი წამოყენებული არიან ადგილობრივი ტერიტორიული ოლქებიდან, შესაბამისად, აქვთ მეტი ცნობადობა და ანგარიშვალდებულება თავიანთი ამომრჩევლების მიმართ. სხვა საქმეა, თუ ისინი გარკვეული ძალების მიერ მოსყიდული არიან და ზემდგომთა დაკვეთებს უფრო ასრულებენ, ვიდრე ამომრჩეველთა მოთხოვნებს.

— მე მახსოვს, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა მაჟორიტარებს „ადგილობრივი ფეოდალები“ უწოდა.

— ვეთანხმები ამ შეფასებას, მაგრამ უკეთესები რომ არც ის დეპუტატები არიან, რომლებსაც პარტიული სიით ირჩევენ? მე პირადად წავაწყდი ფაქტს, როცა ერთ-ერთი ცნობილი პარტიის ლიდერმა დეპუტატობის მსურველ პიროვნებას განუცხადა: კი ბატონო, დღესვე შეგიტანთ დეპუტატად ასარჩევთა სიაში, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამ რაოდენობის (ციფრი დაუსახელა) თანხას ჩამოხვალო. იმ კაცს ფული არ აღმოაჩნდა და დეპუტატის მანდატის გარეშე დარჩა. ასე რომ, პრობლემა თავად მაჟორიტარულ ან პროპორციულ სისტემაში კი არა, იმაშია, ვის ვირჩევთ და როგორ ვირჩევთ დეპუტატებად. მე პირადად ვიღაცის მიერ შერჩეულ და დანომრილ დეპუტატობის კანდიდატებზე მეტად ხალხის მიერ არჩეულ დეპუტატს ვენდობი.

იხ. 9 გვ.

◎ გაყალბებული ისტორია

გადარჩენილი მხარე: ჩაფუშა სტალინის ანტი

დაუსრულებელი გამოუცხადებელი ომი, რომელსაც რუსეთი დაჟინებით წარმართავს საქართველოს წინააღმდეგ, წამდაუწუმ ჰყოფს თავს ყველა ხვრელიდან და ნაპრალიდან.

მაისის დასაწყისში მედიაში გახმიანდა ცნობა, რომ მთიან ყარაბაღში (სტეფანაკერტში) ჩასულმა ე.წ. სამხრეთ ოსეთის პარლამენტის სპიკერმა თანაგრძნობა გამოუცხადა სომეხ ხალხს თურქეთის მიერ განხორციელებულ გენოციდთან დაკავშირებით, თანაც დასძინა, **გენოციდი ოსებმაც ვიწვნიეთ ქართველებისგანო**.

საქართველოში ოსთა ამ „გაწამებულ ცხოვრებაზე“ მაშინ საზოგადოებას საფუძვლიანად, მისთვის დამახასიათებელი მეცნიერული სიღრმით უამბო ცნობილმა ისტორიკოსმა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა როინ მეტრეველმა (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2015 წ. 6 მაისი).



ახლახან მოსკოვში გამოიცა „სამხრეთ ოსეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის“ დიმიტრი მედოევის წიგნი „სამხრეთ ოსეთი და რუსეთის პოლიტიკა ამიერკავკასიაში, ისტორიულ-პოლიტიკური ანალიზი“. იგი განკუთვნილია „მკითხველთა ყველაზე ფართო წრისთვის, აგრეთვე ექსპერტებისა და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის, რომლებიც დაინტერესებული არიან მოცემული პრობლემებით“.

მოკლედ თუ ვიტყვით, ოსი „დიპლომატის“ ეს „სახელმძღვანელო“, რომელიც გულისამრევი უვიცობისა და შეგნებული სიცრუის საოცარი ნააზრევია, ქართველებისა და ოსების საბოლოო გათიშვას ემსახურება.

მაგრამ მედოევის მოსკოვის მიერ ჩაწოდებული მცდელობა არახალია.

ჯერ კიდევ 2004 წლის 10 ივლისს რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ მკაცრად დაგმო საქართველოს ხელისუფლების მოქმედება, რომელიც „სამხრეთ ოსეთში ვითარების დესტაბილიზაციისკენ არის მიმართული“, პარლამენტის ქვედა პალატამ კი შესაბამისი განცხადებაც მიიღო ხმათა უმრავლესობით (328 ხმით).

ეს დაგმობა, ალბათ, აქ გასახსენებლად არც კი ეღირებოდა, ერთი გარემოება რომ არა: რუსმა პარლამენტარებმა ხაზი გაუსვეს, რომ **ოსეთი, როგორც ერთიანი ქვეყანა და არა სამხრეთი და ჩრდილოეთი, 1774 წელს ნებაყოფლობით შევიდა რუსეთის შემადგენლობაში**.

„ეს ერთი ხალხია“ — ანიშნულია დოკუმენტში.

რუს პოლიტიკოსებს უყვართ ლოზუნგები, განსაკუთრებით ერთობის დონეზე, მაგალითად „პარტია და ხალხი ერთნი არიან“ ან „თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმური, შეუკრავს ერთად დიდ რუსეთის ხალხს“, მაგრამ ერთობა მართლა ერთობისთვის არც როდის სჭირდებოდათ.

მაშ ასე: 1774 წელს ოსეთი ნებაყოფლობით შესულა რუსეთის შემადგენლობაში.

კი ბატონო, თავიანთი საქმე თვითონ იციან, ოღონდ თურმე შევიდა როგორც **„ერთიანი ქვეყანა და არა სამხრეთი და ჩრდილოეთი, რადგან ეს ერთი ხალხია“**.

რომელ ერთიან ქვეყანაზე ლაპარაკობდნენ ამ განცხადების ავტორები, ბუნებაში რომ არასოდეს არსებობდა, იმაზე?

1774 წელს რუსეთის შემადგენლობაში შევიდა კავკასიონის გადაღმა მცხოვრები ოსებით დასახლებული ქვეყანა, ანაც ის, რასაც დღეს ჩრდილოეთი ოსეთი (ალანია) ჰქვია. მას არასოდეს არ ჰქონია სამხრეთ ოსეთის სახელით ცნობილი ნაწილი, ანუ ყოფილი სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქი, ანუ დღევანდელი სამხრეთი ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა.

ეს „სამხრეთი ოსეთი“ ყოველთვის, მარადჟამს, „ნოეს კიდობნიდან“, წარმოადგენდა საქართველოს განუყოფელ ნაწილს — შიდა ქართლს, ანუ ისტორიულ ზენასოფელს, რომელსაც ოსეთთან (ანუ დღევანდელ ჩრდილოეთ ოსეთთან) ადმინისტრაციულ-სახელმწიფოებრივად საერთო არაფერი ჰქონდა, გარდა იმისა, რომ მის ტერიტორიაზე კომპაქტურად ცხოვრობდნენ ოსები.

რუსეთის პარლამენტის წევრებმა ეს მშვენივრად იცოდნენ, მაგრამ „საქმეს ასე სჭირდებოდა, ასე აძლევდათ ხელს“.

საოცარია, რუსეთმა უარყო ლენინიზმი, სტალინიზმი და სოციალიზმი, დაამხო საბჭოთა წყობილება, მაგრამ სრულად შეინარჩუნა კომუნისტურ-ტოტალიტარული „ინტერნაციონალიზმის“ იდეებით შეფერადებული დიდმპყრობელურ-შოვინისტური ცნობიერება, რომლის ერთ-ერთი გამოვლინება გახლავთ ყველა „დაჩაგრულის გამოსარჩლება“, ეროვნულ უმცირესობათა „მფარველობა“.

გავიხსენოთ ეპისკოპოს პავლეს ურყევი დოგმა მიხეილ ჯავახიშვილის დიდებული „ლამბალო და ყაშადან“: **„სადაც რუსის წმინდა სისხლი დაიღვარა, რუსეთის გულიც იქ არის“, ან „სადაც რუსის სისხლი დაიღვრება და სადაც რუსის სამხედრო დროშა ფრიალებს, ის ქვეყანაც ჩვენია“**.

ბოლშევიკებს ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს მხარდამჭერები რომ ჰყოლოდათ, ეროვნულ უმცირესობებს ავტონომიურ მმართველობას უბოძებდნენ ხოლმე. ამ საქმის დიდოსტატი სერგო ორჯონიკიძე იყო (საბჭოური რეჟიმის დამყარების შემდეგ ავტონომიური ერთეულების შექმნისას გარკვეული როლი შეასრულა ლოზუნგმა — კომუნიზმის დროს, სულ ერთია, მაინც წაიშლება საზღვრები ურთიერთშორისო).

1920 წლის 25 მარტს რუსეთის კომპარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტის სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება „სამხრეთ ოსეთში“ საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებისა და სამხრეთ ოსეთის რევკომის ორგანიზაციის შესახებ“.

უკვე 6 მაისს ახალშექმნილმა „სამხრეთი ოსეთის რევკომმა“ დაადგინა: „ვემორჩილებით რა კავკასიის სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილებას, აუცილებლად მიგვაჩნია გამოვაცხადოთ საბჭოთა ხელისუფლება... რის შესახებაც ვაცნობებთ მოსკოვს და დემოკრატიულ საქართველოს“. **რევკომის ეს გადაწყვეტილება, როგორც ვხედავთ, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უხეშ დარღვევას წარმოადგენდა**.

კავბიუროს დადგენილებით საოლქო კომიტეტმა, 1921 წლის 25 თებერვალს განმეორებით მიიღო დადგენილება ე. წ. „სამხრეთი ოსეთის რევკომის“ შექმნის შესახებ. **თუმცა, მაშინ სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ერთეული თავისი სტატუსითა და ტერიტორიით რეალურად არ არსებობდა**. და მაშინვე დაიყენა სამხრეთი ოსეთისთვის ავტონომიის მინიჭების საკითხი, რაც ერთობ ძნელი გადასაწყვეტი აღმოჩნდა. ჯერ ერთი გასარკვევი იყო რა ტერიტორიაზე და რა სახის ავტონომია უნდა მიენიჭებინათ „სამხრეთი ოსეთისათვის“. მეორეც, რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და რევოლუციურ კომიტეტს, რომლებსაც ვერასგზით ვერ დავწამებთ „ინტერნაციონალიზმის“ ნაკლებობას, გაუჭირდათ სამხრეთი ოსეთის რევკომისა და პარტიული კომიტეტის მიერ წამოყენებული უსაფუძვლო მოთხოვნების დაკმაყოფილება.

საქართველოს ტერიტორიაზე სამხრეთი ოსეთის სახელმწიფოებრივი ფორმირების მოთხოვნა წმინდა წყლის ავანტიურა, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული რამ იყო. ასეთი პრეტენზიები ოსებს მხოლოდ თავიანთ ისტორიულ სამშობლოში — ჩრდილოეთ კავკასიაში შეიძლება ჰქონოდათ. იქ, ჩრდილოეთ კავკასიაში კი, არც ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა არსებობდა და არც ცალკე ოლქი. ჩრდილოეთი ოსეთის ავტონომიური ოლქი მხოლოდ 1924 წელს შეიქმნა რუსეთის სფს რესპუბლიკის შემადგენლობაში და მხოლოდ 1936 წელს მიეცა ამ ოლქს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი.

საბოლოოდ, რკპ (ბ) ცკ-ის კავბიუროსთან შეთანხმებით, უფრო სწორად მისი კარნახით, საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს **1922 წლის 20 აპრილის დადგენილებით,** რასაც ხელს აწერდნენ ფილიპე მახარაძე და სერგო ქავთარაძე, **შეიქმნა სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქი, როგორც საქართველოს სსრ-ს შემადგენელი ნაწილი**.

ოლქის ცენტრად დადგინდა ცხინვალი, ოლქის ფარგლებში მოაქციეს არა მარტო იმ დროს ოსებით დასახლებული ჯავის, ზნაურისა და ზოგიერთი სხვა ხეობა, არამედ, ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგობის მიუხედავად, გორის, დუშეთისა და რაჭის მაზრების მრავალი სოფელი. ამგვარად ოლქი შეიქნა ისე, რომ არავითარი ანგარიში არ გაუწიეს ქართველებს, არც იქ მცხოვრებ სხვა ხალხებს. არ გაითვალისწინეს ამ მხარის წარსული, მისი მკვიდრი მოსახლეობის ინტერესები და თვითნებურად გადაწყვიტეს ეს საკითხი.

საქართველოს ნაწილის „ოსეთად“ მონათვლას (მაშინ, როდესაც ნამდვილი ოსეთი საქართველოს გარეთ, ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარეობს) არც ისტორიული, არც სამართლებრივი, არც მორალური საფუძვლები არ გააჩნდა და მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა — საქართველოს ტერიტორიაზე შეექმნა პლაცდარმი რუსეთის კომპარტიისთვის, რომელიც მანამდე ოსებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ აქტიურად იყენებდა შიდა ქართლში (ოთხი აჯანყება!).

ასეთია ზოგად შტრიხებში საქმის არსი „ერთიანი ოსეთის“ თაობაზე, რის შესახებაც ამ ცოტა ხნის წინათ დასაბუთებულად უამბო მკითხველს ისტორიკოსმა ავთანდილ სონღულაშვილმა (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2015 წ. 15 მაისი).

ამრიგად, რუსმა პოლიტიკოსებმა ჯერ კიდევ 2004 წელს ოფიციალურად შეადგინეს „ერთიანი ოსეთის“ რუსეთთან შეერთების ლეგენდა.

მას აუცილებლად უნდა ჰქონოდა გაგრძელება.

ცნობილია, თუ სპექტაკლის პირველ მოქმედებაში კედელზე თოფი ჰკიდია, იგი ბოლო მოქმედებაში აუცილებლად გაისვრის.

რუსეთის პარლამენტმა თავისი 2004 წლის 10 ივლისის განცხადებით კედელზე „ერთიანი ოსეთი“ დაჰკიდა.

და მან 2008 წლის აგვისტოში დაიქუხა, რასაც რუსეთის მიერ „სამხრეთი ოსეთის“ რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ცნობა მოჰყვა.

მაგრამ სათქმელი ჯერ არ დამიმთავრებია.

მედოევის მაღვალაკური მცდელობა არახალია. **2006 წლის 11 ნოემბერს,** ცხინვალში ზარ-ზეიმით ჩატარებული „დამოუკიდებლობის რეფერენდუმის“ წინა დღეს, რუსეთის გაზეთ **„იზვესტია-რუ“-ში** დაიბეჭდა **ევგენი უმერენკოვის** სტატია **„როგორ კინაღამ მისცა სტალინმა ჩრდილოეთი ოსეთი საქართველოს“**. ამ „სენსაციურ“ მასალას გამოკვეთილი მიზანი ჰქონდა: მკითხველისთვის შეეხსენებინა, რომ სეპარატისტთა საქმე სამართლიანია“. თუმცა, მისი დაბეჭდვიდან კარგა ხანია გასული და მას შემდეგ ბევრი უარესიც დაიბეჭდა, მაგრამ უმერენკოვის ეს სტატია დღემდე არ ჰკარგავს თავის პროვოკაციულ მნიშვნელობას, ამიტომ თავს უფლებას მივცემ და მკითხველს შევახსენებ მას.

სტატიის ავტორს უმაღლესი დონის ექსპერტი უდგას მხარში — ანასტას მიქოიანის ვაჟი, ისტორიკოსი სერგო მიქოიანი! „ექსპერტი“ თავშეუკავებელი სიამოვნებით გვამცნობს, რომ ჩრდილოეთი ოსეთის საქართველოს შემადგენლობაში შეყვანის ინიციატივა ეკუთვნოდა საკავშირო კომპარტიის (ბოლშევიკებისა) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელს სერგო ორჯონიკიძეს, იოსებ სტალინი კი მხარს უჭერდა რუსებისა და ოსების დამღუპველ ამ იდეას. რუსეთის კომპარტიის (ბოლშევიკების) სამხრეთ-აღმოსავლეთ ბიუროს ერთ-ერთი ხელმძღვანელის და ჩრდილოეთ კავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივნის ანასტას მიქოიანის თავდადება, გმირული შემართება რომ არა, დღეს „სააკაშვილის რეჟიმი, ალბათ, მოითხოვდა „კანონიერი ქართული მიწების“ დაბრუნებას ლამის ბესლანამდე“. ერთი სიტყვით, ხუმრობს კიდეც და ამ უკბილო ხუმრობაზე თვითონვე იჭაჭება სიცილით.

გაზეთში დაბეჭდილია ყოველივე ამის „დამადასტურებელი“ დოკუმენტები, რომლებისთვისაც სერგო მიქოიანს რუსეთის სოციალ-პოლიტიკური ისტორიის სახელმწიფო არქივში მიუკვლევია (ირკვევა, რომ მათი არსებობა მას აცნობა სომეხმა ისტორიკოსმა რუბენ ანგალადიანმა, რომელიც თურმე მაშინ წიგნს წერდა მამამისზე): სტალინის 1925 წლის 23 მაისის წერილი მიქოიანისადმი, მიქოიანის 1925 წლის 8 ივნისის ტელეგრამა სტალინისადმი, სტალინის 1925 წლის 29 ივნისის ტელეგრამა ორჯონიკიძისადმი და ორჯონიკიძის 1929 წლის 9 სექტემბრის წერილი სტალინისადმი.

ერთი სიტყვით, არქივში ძიებით ერთობ დამაშვრალა, თუმცა, კაცმა რომ თქვას, არქივში რა არბენინებდა, როცა ისინი გამოქვეყნებული იყო კრებულში „რკპ(ბ) ცკ და ნაციონალური საკითხი“, წიგნი I. 1918-1933. მ. როსსპენ. 2005.

გაზეთში ეს დოკუმენტები ისეთი „საწებლით“ არის მორთმეული, როგორც იმ პუბლიკაციის იდეა-მიზანდასახულებას სჭირდება: **სტალინმა ორჯონიკიძის ჩაწოდებით ოსი ხალხის საზიანოდ რუსეთის გაძარცვა და საქართველოს გაბედნიერება გადაწყვიტა!**

უმერენკოვი, მიქოიანი და „იზვესტია-რუ“-ს მკითხვე-

◎ გაყალბებული ისტორია

თურმე მიქოიანმა გმირულად რუსულ-ოსური ავი ზრახვები

ლები კარგად იყვნენ, ამჯერად მე ქართველი მკითხველი უფრო მაინტერესებს, ამიტომ შეძლებისდაგვარად შეეცდები სიმართლე წარმოვაჩინო: რა იყო, როგორ იყო...

როგორც ვთქვით, 1922 წლის 20 აპრილს შეიქმნა მანამდე ბუნებაში, ისტორიაში არარსებული ადმინისტრაციული ერთეული — სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელშიც ამ მიზნით ხელოვნურად, ძალადურად ჩართეს მრავალი ქართული სოფელი. ამ დროს კავკასიონის გადაღმელ ოსებს, ოსთა ნამდვილ სამშობლოში არავითარი საკუთარი ავტონომია არ გაჩნდათ: ჩრდილოეთი ოსეთის ავტონომიური ოლქი მხოლოდ 1924 წელს შეიქმნა რსფსრ-ის შემადგენლობაში. გარკვეული ძალები „სამხრეთი ოსეთისა“ და ჩრდილოეთი ოსეთის გაერთიანებას მაშინვე ცდილობდნენ და სათანადო ნაბიჯებსაც დგამდნენ.

გაერთიანების ინიციატივა ოფიციალურად ჩრდილოეთი ოსეთიდან მომდინარეობდა. იქ საკითხი პირველად 1925 წლის იანვარში წამოიჭრა. და რაკი ამ პრობლემის გადაწყვეტა რუსეთის სფსრ-ს და საქართველოს სსრ-ს ეხებოდა, ორივეგან გაჩაღდა მოსამზადებელი საქმიანობა. უწინარეს ყოვლისა, უნდა გარკვეულიყო, თუ რომელ სახელმწიფოში — რუსეთსა თუ საქართველოში — შევიდოდა გაერთიანებული ოლქი.

აქ აუცილებლად გასათვალისწინებელი იყო ქართველი ხალხის აზრი. იგი, ბუნებრივია, ვერ შეურიგდებოდა თავისი ძირძველი მიწის გასხვისებას — რუსეთის შემადგენლობაში გადასვლას. ადვილი გადასაწყვეტი არც ჩრდილოეთ ოსეთის შემოერთების საკითხი

ა. მიქოიანი, ი. სტალინი, ს. ორჯონიკიძე. 1920-იანი წლები

იყო, რადგან ისიც უნდა განეჭვრიტათ, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ შეერთებას მომავალში: მართლა იქნებოდა ეს აქტი, უმერენკოვის სიტყვით რომ ვთქვათ, „საქართველოსთვის სტალინის მეფური საჩუქარი“, თუ პირიქით — ვერაგული „ტროას ცხენი“?

აქ — მცირე გადახვევა. იმის გასათვალისწინებლად, თუ როგორ წავიდოდა გაერთიანების იდეა, უნდა მოვუხმო მოულოდნელ დოკუმენტს — **გაერთიანებული სახელმწიფო-პოლიტიკური სამმართველოს (ოგპუ) საინფორმაციო განყოფილების უფროსის ალექსეევის წერილს საკ. კპ (ბ) ცკ-ში — „ჩრდილოეთ კავკასიის ნაციონალური ოლქების პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ“, რომელიც 1928 წელს (სავარაუდოდ, 13 აპრილს) არის დაწერილი და რომელიც, ჩემი აზრით, საკმაოდ სიღრმისეულად წარმოაჩენს საკითხის არსს.**

წერილში ნათქვამია, რომ სულ თავიდან ლაპარაკი იყო „სამი ოსეთის“, — ჩრდილოეთი ოსეთის, სამხრეთი ოსეთისა და „ოსური“ მოზდოკის გაერთიანებაზე. ამ მოძრაობას საძირკველს ის უმაგრებდა, რომ „1. ჩრდილოეთი ოსეთი მცირემიწიანია, კონტრრევოლუციის მხარეზე მონაწილობამ მას საშუალება არ მისცა მეზობლების მსგავსად კაზაკთა ხარჯზე უზრუნველეყო თავი და ახლა აგრარული ჭარბმოსახლეობისგან ერთადერთი გამოსავალი შეიძლება იყოს ჩრდილოეთ ოსეთთან თერგის ოლქის მოზდოკის რაიონის შეერთება 10 ათასი ოსი მცხოვრებლით. იქ რევოლუციამდე ჩრდილოეთ ოსეთელებს იჯარით ჰქონდათ აღებული 35 ათასი დესეტინა მიწა; 2. ამიერკავკასიაში შემავალ სამხრეთ ოსეთს განვითარებისთვის არავითარი საშუალება არა აქვს, როგორც განსაკუთრებით მწვავე მცირე მიწიანობის, ისე კულტურულ ძალთა უკმარისობის გამო. ჩრდილოეთი ოსეთი მოზდოკის შემოერთებით შესაძლებლობას მოიპოვებს მთლიანად დააკმაყოფილოს სამხრეთი ოსეთის შიმშილი მიწაზე, აგრეთვე შეივსოს კულტურული ძალების ნაკლებობა“.

ალექსეევის წერილში გაერთიანების მოძრაობის ხელშემწყობად დასახელებულია კაპიტალის მნიშვნელოვანი ზრდა, რომელიც უკვე ვეღარ თავსდება ჩრდილოეთი ოსეთის ფარგლებში და „ბაზრებს ეძებს თავისი ინიციატივის ხორცშესასხმელად, დასახელებულია სხვა მიზეზებიც: „1. უკანასკნელ წლებში სავაჭრო კაპიტალის მნიშვნელოვანი ზრდა, რომელიც უკვე ვეღარ თავსდება ჩრდილოეთი ოსეთის ფარგლებში და ბაზრებს ეძებს თავისი ინტერესების ხორცშესასხმელად; 2. ინტელიგენციის დიდი ჭარბწარმოება და აქედან გამომდინარე მოვლენები; 3. ეროვნული ინტელიგენციის სწრაფვა ოსეთის ფართო პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და ჩრდილოეთ კავკასიის მხარის „მზრუნველობისგან“ თავდახსნისაკენ. **ამიტომ თანახმაა, გაერთიანების შემდეგ შეუერთდეს თუნდაც ამიერკავკასიას, სადაც ოსეთის ნაციონალური ინტელიგენციის აზრით, დიდი პოლიტიკური თავისუფლებისა და ეროვნული განვითარების პერსპექტივა არსებობს“.**

შემდეგ ნათქვამია, რომ თვით აზრი ჩრდილოეთი ოსეთის სამხრეთთან გაერთიანებისა, მთის სხვა ოლქებისგან განსხვავებით, სულაც არ არის ახალი. „დიდი, ერთიანი ოსეთის“ შექმნის იდეა მოდის ეროვნულ-დემოკრატიულ პარტია „კოსტასგან“ (ხალხოსანი რევოლუციონერი პოეტის კოსტა ხეთაგუროვის სახელის მიხედვით, რომელიც თებერვლის რევოლუციის შემდეგ შეიქმნა და სათავეში ედგა თეთრ მოძრაობას. პარტია „კოსტა“ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების კვალდაკვალ დაარბიეს, მაგრამ მისი იდეური მომხრეები ოსი ინტელიგენციის წიაღში მრავლად შემორჩნენ).

ალექსეევი აცხადებს, რომ გაერთიანების საკითხს მთიელთა რესპუბლიკის (1921-1924 წ.წ. აერთიანებდა ჩეჩნებს, ინგუშებს, ოსებს, ყაბარდოელებს, ბალყარებს ყარაჩაელებს. დედაქალაქი — ვლადიკავკაზი) დაშლის შემდეგ აყენებდნენ პრაქტიკულად ყოველ საბჭოთა პარტიულ კონფერენციაზე და არაერთგზის შეიტანეს გადაწყვეტილების მისაღებად უმაღლეს პარტიულ და სამთავრობო ორგანოებში, მაგრამ ყოველთვის გადაიდება ხოლმე ამ საკითხის წამოწევის ნაადრევობის მოტივით.

„ამის მიუხედავად, ოსეთის ხელმძღვანელობისა და მთელი ეროვნული ინტელიგენციის მხრიდან ყველაფერი კეთდებოდა და კეთდება ამ პროექტის ხორცშესხმის მოსამზადებლად: სამხრეთ ოსეთთან დამყარებულია კულტურულ-სამეურნეო კავშირი (მასწავლებლებით, ლიტერატურით, საბჭოთა აპარატის მუშაკებით მომარაგება, სამხრეთელი ოსების გადასახლება ჩრდილოეთ ოსეთში და კაზაკთა მიწებზე და ა. შ. მიმდინარობს მედგარი შეტევა ვლადიკავკაზზე — ოსების მასობრივი ჩასახლება ქალაქში), მოზდოკის ოსებში წამოიწყეს მასობრივი მოძრაობა ავტონომიის ან ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთების მოთხოვნით. ოღონდ ამჟამად შეიმჩნევა გაერთიანების მოძრაობის დაცემა. საზოგადოებრივ-ნაციონალური აზრი მიმართულია სხვა ფრონტისაკენ — ოსეთის ინდუსტრიალიზაციისკენ (გიზელდომშენი, ბესლანის კომბინატი და სხვა წვრილი ქარხნები, რომელთა მშენებლობაც 1927 წელს დაიწყო), რამაც მთელი რიგი უპირატესობა მოუპოვა ოსეთს სხვა ნაციონალურ ოლქებთან შედარებით“ — ხაზს უსვამს ალექსეევი.

ახლა კვლავ 1925 წელს მივუბრუნდეთ.

მოვლენები ასე განვითარდა: 1925 წლის 23-31 მარტს გაიმართა სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების მე-5 ყრილობა. **მან ჩრდილოელთა მოწოდებისამებრ, გამოკვეთა თავისი აზრი — სამხრეთი ოსეთისა და ჩრდილოეთი ოსეთის ავტონომიური ოლქების გაერთიანება საქართველოს სსრ ფარგლებში.**

იმაზე მსჯელობა, თუ რამდენად გულწრფელი იყო ეს სურვილი, შორს წაგვიყვანს. ვინ იცის, ეს გეგმა იქნებ ხვალ და ზეგ ქართული მიწა-წყლის მიტაცების შუალედურ ეტაპადაც კი ჰქონდათ წარმოდგენილი (უნდა დავუშვათ ასეთი მოსაზრებაც). ყოველ შემთხვევაში, გამორიცხული არ იყო, რომ ერთი შეხედვით უვნებელი (თითქოს სასარგებლოც კი) წამოწყება ქართველ ხალხს მეტად ძვირი დასჯდომოდა მომავალში.

ასე იყო თუ ისე, საქმე დაიძრა. მას შემდეგ, რაც სამხრეთ ოსეთში მოიწონეს ორივე ავტონომიის საქართველოს ფარგლებში გაერთიანების იდეა, ჩრდილოეთ ოსეთის ხელმძღვანელობამ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს აცნობა: **„ჩრდილოეთი და სამხრეთი ოსეთი ერთ ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკად ერთიანდებიან და საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიან“.**

სრულიად რუსეთის ცაკი წინააღმდეგი არ წასულა „საკითხის ასე დაყენებაზე“. თანხმობას აცხადებდა ჩრდილოეთი კავკასიის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტიც.

ბუნებრივია, ეს მოვლენები საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის იოსებ სტალინის ყურადღების მიღმა ვერ დარჩებოდა.

1925 წლის 23 მაისს სტალინი სამხრეთი ოსეთისა და ჩრდილოეთი ოსეთის ავტონომიური ოლქების პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკებს ესაუბრა. ამ საუბრის შთაბეჭდილებით მან იმავე დღეს (უმერენკოვი 23-ის ნაცვლად შეცდომით 25 მაისს უთითებს) შემდეგი შინაარსის შიფრტელეგრამა გაუგზავნა რკპ(ბ) ჩრდილოეთი კავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანს ანასტას მიქოიანს:

„1. ჩემთან იყვნენ ტოკოევი რკპ(ბ) ჩრდილოეთი ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს, ფორმალურად ჩრდილოეთი ოსეთის, როგორც ავტონომიური წარმონაქმნის პირველ ხელმძღვანელს სიმონ ტაკოევს. სტალინი რატომღაც ტოკოევად იხსენიებს — ა. ა.) და სხვა ოსები. საქმის ყურადღებით გაცნობამ დამარწმუნა, რომ შეიძლებოდა დათანხმება ჩრდილოეთი და სამხრეთი ოსეთის გაერთიანებაზე საქართველოს შემადგენლობაში. საფუძველი არსებობს ვიფიქროთ, რომ ინგუშები წინააღმდეგი იქნებიან, რადგანაც ოსეთის ორი ნაწილის გაერთიანებამ შეიძლება გააადვილოს ოსთა ხელში ვლადიკავკაზის გადასვლა. ამიტომ ეს საქმე ყოველმხრივ უნდა ავწონ-დავწონოთ.

2). ვფიქრობ, შეიძლება ოსებისთვის ლესკენის მთლიანად გადაცემა, რისი წინააღმდეგიც ყაბარდო არ არის, ლესკენის სამხრეთი ნაწილის წინააღმდეგობას კი შეგვიძლია ყურადღება არ მივაქციოთ.

3) ოსური გეგმა ოსეთისთვის მოზდოკის რაიონის მიერთების თაობაზე, ფანტასტიკური და ყოვლად მიუღებელია, რის შესახებაც ოსებს ვუთხარი.

ვფიქრობ, შეიძლებოდა ჭარბი ოსური მოსახლეობის ჩასახლება საფონდო მიწაზე იმ ანგარიშით, რომ შემდეგ ოსური სოფლებისგან შეგვექმნა ეროვნული რაიონი როსტოვს დამორჩილებული აღმასკომით.

ამის თაობაზე გწერ პირადად ჩემი სახელით. მაცნობე სამხარეო კომიტეტის აზრი“.

ამ წერილიდან სულაც არ „ირკვევა“, რომ სტალინს ოსეთის ოლქების საქართველოს შემადგენლობაში გაერთიანების საკითხი გადაწყვეტილი აქვს, უბრალოდ, მოსაზრებას გამოთქვამს, „შეიძლებოდა დათანხმებაო“. ოღონდ, იქვე ეჭვს გამოთქვამს, ინგუშები განაწყენდებიან, რადგან გაერთიანება ოსებს გაუადვილებს ვლადიკავკაზის მთლიანად ხელში ჩაგდებასო (ბოლოს ასეც მოხდა), ამიტომ „ეს საქმე ყოველმხრივ უნდა ავწონ-დავწონოთო“, თანაც ამ წერილს მიქონიანს წერს, როგორც კერძო პირი („ჩემი სახელით“) **და არა როგორც გენერალური მდივანი.** აქვე თვალნათლივ იკვეთება სტალინის კეთილგანწყობა, მხარდაჭერა ოსთა მიმართ: გაერთიანების გარდა, ოსებისთვის ლესკენის მთლიანად გადაცემაზე, საფონდო მიწაზე ჭარბი ოსური მოსახლეობის ჩასახლებაზე და შემდეგ როსტოვს დამორჩილებული ეროვნული რაიონის შექმნაზე მზადყოფნა.

ამას გარდა, **თვალნათლივაა ისიც, რომ სტალინი მაშინ ერთპიროვნულად არ წყვეტდა ასეთ სერიოზულ საკითხებს, სხვებსაც ეკითხებოდა აზრს და თუ მოსაზრებები გასაზიარებელი იყო, იზიარებდა კიდეც.**

ალეკო ასლანიშვილი.

(გაგრძელება იძნება)

„ქადაგიძემ კარგად ისარგებლა ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომებით“

ძვეშნის პირველმა პირმა ეროვნული ბანკიდან საზედამხედველო ფუნქციის გამოყოფასთან დაკავშირებულ კანონპროექტს შესაძლოა, ვეტო დაადოს. პრეზიდენტის ეკონომიკური მრჩევლის გიორგი აბაშიშვილის განმარტებით, ისინი ხედავენ არა კანონპროექტს, რომელიც არსებითად არაფერს შეცვლის, „არამედ კანონპროექტს, რომელიც ქვეყნის ეკონომიკას პირდაპირ დააზარალებს“, რადგან ის წინააღმდეგობაში მოდის ასოცირების დღის წესრიგთან, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ასევე ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ უკვე ღიად გამოთქმულ პოზიციასთან.

ეროვნული ბანკის ირგვლივ ვნებათაღელვა არ ცხრება. რა რისკები არსებობს, როდესაც ქვეყანაში საფინანსო ინსტიტუტები სკანდალში ეხვევა, ამ თემაზე ექსპერტი გია ხუხაშვილი გვესაუბრება.

— ვფიქრობ, თვითონ ხელისუფლების ტაქტიკაა ძალიან უცნაური, რამაც გარკვეულწილად შექმნა ასეთი ტიპის პრობლემები. თუ ადამიანს აქვს დანაშაული ჩადენილი, ის უნდა დაისაჯოს მაშინვე, როგორც კი ეს დანაშაული დადასტურდა. როდესაც შემდეგ ჩნდება სხვა პრობლემა და ამ პრობლემასთან დაკავშირებით იწყება ძველი ცოდვების გახსენება, ის მთელ ამ პროცესს დამაჯერებლობას აკლებს. გარკვეულწილად თვითონ პროცესის დისკრედიტირება ხდება, რითაც იმ ადამიანმა მშვენივრად შეიძლება ისარგებლოს — რისი მოწმენიც გავხდით.

ყველაფერი დაიწყო ვალუტის კურსის გამო. გამოითქვა ეჭვები, რომ ქადაგიძე რაღაც პოლიტიკურ თამაშებს ეწეოდა, იმისათვის რომ ეს დადასტურებულიყო, დაიწყო გახსენება სამი წლის წინანდელი საქმეების. როდესაც ამ ორი თემის ერთმანეთან გადაჯაჭვა ხდება, მაშინ ჩნდება კითხვები. მით უმეტეს, როდესაც უცხოელებს ეხება საქმე, მათ სულაც არ მოეთხოვებათ ყველაფრის ღრმად ცოდნა და მოვლენათა ასეთი უცნაური განვითარება მათ უქმნის შთაბეჭდილებას, რომ ამ ყველაფერთან დაკავშირებით რაღაც ვერ არის წესრიგში.

შესაძლოა, ხელისუფლების წარმომადგენელი, ამ შემთხვევაში ბიძინა ივანიშვილი, ერთ შემთხვევაშიც მართალი იყოს და მეორეშიც, მაგრამ ამ ორი თემის ერთმანეთთან დაკავშირება ტოვებს არადამაჯერებლობის განცდას ჩვენს მეგობრებში. ანუ ტექნოლოგიურად არასწორად კეთდება ეს ყველაფერი.

დღეს საუბარი იმაზე, რომ ვიღაც დასაჭერი იყო და ჩვენ არ დავიჭირეთ, ჩემი აზრით არასწორი გზავნილია. შეიძლება ეს ასეც იყო სინამდვილეში, მაგრამ ასეთი ტიპის საჯარო განცხადების გაკეთებამ ვიღაცას შესაძლოა, დამატებითი არგუმენტი მისცეს იმისათვის, რომ ილაპარაკოს ძალოვანი სტრუქტურების მუშაობაში ჩარევაზე და ა.შ. აქედან გამომდინარე, ხელისუფლება მთლიანობაში, და ცალკეული სტრუქტურების წარმომადგენლები, მთელ ამ პროცესში ტექნოლოგიურ შეცდომებს უშვებენ განცხადებების, მოქმედებების დონეზე და პასუხებსაც იღებენ შესაბამისს.

ქადაგიძის საპასუხო ქმედება ნიშნავდა იმას, რომ მან კარგად ისარგებლა ხელისუფლების მხრიდან დაშვებული შეცდომებით — ძალიან ამაყი სახით გამოდის და პრესკონფერენციებს ატარებს.

— როდესაც პირველი ვარაუდები გამოითქვა და საუბარი დაიწყო ეროვნულ ბანკისა და რამდენიმე კომერციული ბანკის ერთობლივ საეჭვო ქმედებებზე, შესაძლებელი იყო თუ არა კონკრეტულად ეს თემა გამოძიებულიყო ყოველგვარი პოლიტიკური სარჩულის გარეშე და პასუხები მიგვეღო?

— როდესაც არსებობს ეჭვი, რომ საქმე გვაქვს დანაშაულთან, ყველაფერი უნდა იყოს გამოძიებული, მაგრამ გამოძიებას აქვს თავისი წესები, ის არ გულისხმობს საჯარო, პრევენციული განცხადებების კეთებას. ჯერ უნდა გამოიძიო, ხოლო ამის შემდეგ ილაპარაკო და არა - ჯერ ილაპარაკო, დააანონსო და მერე ან გამოიძიო, ან ვერა.

ამიტომაცაა, რომ არაპროფესიულად გაკეთებული საქმეები ძალიან ცუდად, ბუმერანგივით უბრუნდება ხელისუფლებას. იგივე კაბელების საქმის მაგალითს მოვიყვან, როდესაც ფაქტობრივად, დაეშალათ საქმე, როდესაც მოსამართლემ არ მიიღო მტკიცებულებები — ამის შემდეგ ისიც კი არ ვიცი, ეს საქმე როგორ შეიძლება, გაგრძელდეს.

ეს ყველაფერი ტოვებს ძალიან მძიმე შთაბეჭდილებას. ეს ნიშნავს, რომ ან კვალიფიკაცია არ ყოფნით იმისათვის, რომ პროცესი წარმართონ, ან ვიღაცები შიგნიდან შეგნებულ საბოტაჟს ეწევიან და ფაქტობრივად, ოპონენტებზე მუშაობენ — ან კიდევ რაღაც უცნაურობა ხდება.

— სხვა შემთხვევებში ასეთი ეჭვები, შესაძლოა, ჩნდებოდეს, მაგრამ ახლა (განსაკუთრებით ნაციონალების) მღელვარების საბაბი გახდა ბიძინა ივანიშვილის მიერ სავალუტო ფონდის წარმომადგენელთან დაკავშირებული შემთხვევის გახსენება — როგორ ვიფიქროთ, რომ ივანიშვილმა საკუთარ თავს საბოტაჟი მოუწყო?

— დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი დიალოგი შედგა. ბიძინა ივანიშვილი გულწრფელი ადამიანია და თქვა, რაც იცოდა. მაგრამ შედეგებს რომ შევხედოთ, რა მოჰყვა ამ ყველაფერს? — ჩემი აზრით, კარგი არაფერი.

— სავალუტო ფონდის საპასუხო განცხადებაც გავრცელდა. ნაციონალებმა და ეროვნული ბანკის პრეზიდენტმაც აიტაცეს ამბავი და სავალუტო ფონდთან ურთიერთობის შესაძლო გაფუჭებაზე ალაპარაკდნენ... ასეთი საფრთხეები რეალურია?

— არ მგონია, ამის გამო ურთიერთობები გაფუჭდეს, მაგრამ პოლიტიკაში პირად ურთიერთობებს აქვს მნიშვნელობა და სავალუტო ფონდი ჩვენ უფრო გვჭირდება ახლა, ვიდრე მას — ჩვენ. ეს არის რეალობა.

— როდესაც კომერციული ბანკებისა და ეროვნული ბანკის მიერ შესაძლო სავალუტო მაქინაციების შესახებ საუბრობენ, რამდენად რეალური საფუძველი არსებობს ასეთი ეჭვებისთვის?

— რეალურად ობიექტური პრობლემებიც ბევრია — გავიხსენოთ, როგორ ფორმირდება ვალუტის კურსი — ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე მოთხოვნა-მიწოდების შესაბამისად. ობიექტურად, სავალუტო ბირჟაზე ფულის მიწოდება რომ შემცირდა, ამას ხელისუფლებაც აღიარებს. ანუ ექსპორტის, სავალუტო გადმორიცხვების და ა.შ. შემცირებამ შექმნა დისბალანსი, რომლის ლოგიკური გაგრძელება იყო ლარის ვარდნა.

საკითხი ასე დგება, პროცესი იყო ობიექტური, მაგრამ ვინმემ კიდევ უფრო ხომ არ გააძლიერა შეგნებულად? ბანკების მხრიდან ამას გამოვრიცხავ და რატომ — მოკლევადიან პერიოდში რაღაც მსხვილი მოგება არ შეიძლება იყოს გარანტირებული. გრძელვადიან პერიოდში ასეთი ქმედებებით ბანკებიც ზარალდებიან, რადგან ეკონომიკური აქტივობა იკლებს, პრობლემური კრედიტების რაოდენობა იმატებს. საბოლოოდ, მოკლევადიან პერიოდში რა დიდი მოგებაც არ უნდა ნახოს რომელიმე ბანკმა, გრძელვადიან პერიოდში ის აუცილებლად ზარალზე მიდის ლარის კურსის ვარდნის გამო.

— გარკვეული წრეები გამოდიან ეროვნული ბანკის გაუქმების იდეითაც... ეროვნულ ბანკთან დაკავშირებული სკანდალი საბოლოოდ როგორ შეიძლება შემოგვიბრუნდეს?

— საბოლოოდ ეს აისახება ფინანსურ არასტაბილურობაში. საფინანსო სისტემა ამ ქვეყანაში არის ერთადერთი სფერო, რომელიც მეტ-ნაკლებად, გამართულად მუშაობს. მასზე შეტევას შეიძლება მოჰყვეს ძალზე რთული პროცესები. რაც ისედაც ცუდ მდგომარეობაში მყოფ ეკონომიკას სავალალო მდგომარეობაში ჩააგდებს. პირველ რიგში, ხელისუფლების ინტერესებში არ შედის, რომ დაანგრიოს ეს სისტემა.

— როგორც პროკურატურა აცხადებს და თუ კითხვები აქვს ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან და დაიწყება გამოძიება, უკვე შექმნილი აჟიოტაჟის გამო ეს ყველაფერი პოლიტიკურ ელფერს ხომ არ მიიღებს?

— ამას წინასწარი განცხადებები რად უნდა, კითხვები ახლა ხომ არ გაჩენილა? ისინი დიდი ხანია, არსებობს. პირველი საჩივარი პროკურატურაში შევიდა არჩევნებიდან ორი-სამი დღის შემდეგ. სამი წელი არ სჭირდება ასეთი საქმეების გამოძიებას. როდესაც ამ ყველაფრის დაანონსება ხდება, ეს არის ცუდი.

საქმე უნდა იყოს გამოძიებული, მაგრამ ის, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის შესაძლო დანაშაულის შესახებ ტელევიზორში ვილაპარაკოთ, ესეც არ არის სწორი. ეს სახიფათოა ფინანსური სტაბილურობისთვის. ისე უნდა მიდიოდეს ეროვნული ბანკის მმართველი დაკითხვაზე, რომ ჩვენ არ ვიცოდეთ ამის შესახებ, რათა ქვეყანში პანიკური განწყობები არ დაიწყოს.

— ამ სიტუაციის გამოსწორების რა შანსს ხედავთ?

— ყველა უნდა გაჩუმდეს და პროცესი სამუშაო ვითარებში გადავიდეს, ვინც დასასჯელია დაისაჯოს. ვისაც საქმე აქვს - იმუშაოს. ეს ყველაფერი უნდა მოგვარდეს სამუშაო ვითარებაში და არა საჯარო პოლემიკებით.

ესაუბრა
მარიამ თოდაძე

◎ ალიან-ჩალიანი

სუიციდი სამხედრო ცენტრში

22 წლის გ. კ., რომელიც კრწანისის სასწავლო ცენტრში მსახურობდა, ჩამომხრჩვალი იპოვეს. ფაქტს ადასტურებს შინაგან საქმეთა სამინისტრო. მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

არსებული ინფორმაციით, თოკით ჩამომხრჩვალი ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი თბილისი-წითელი ხიდის მე-17 კმ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, კრწანისის სასწავლო ცენტრის გადასახვევთან არსებულ მიტოვებულ შენობაში იპოვეს. გარდაცვლილი გ.კ. ლაგოდეხში ცხოვრობდა.

შატილში დაკარგული მწყემსის ცხედარი იპოვეს

შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მაშველებმა, სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებთან ერთად, საძიებო-სამაშველო ოპერაციის შედეგად, შატილში დაკარგული მწყემსის, 52 წლის გიორგი შეთიკაურის ცხედარი იპოვეს.

შს სამინისტროს ინფორმაციით, 2 ივნისს, დუშეთის მუნიციპალიტეტის პირიქითა ხევსურეთის მაღალმთიანეთში, სოფ. ხონისჭალის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე ხონისწყლის მარცხენა შენაკადის ხეობაში მეწყრულ-კლდეზვავური ტიპის ჩამოქცევა და ღვარცოფის ტრანსფორმაცია მოხდა, რის შედეგადაც ადგილობრივი მწყემსი გაუჩინარდა.

შსს-ის გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ში დაკარგული მწყემსის შესახებ შეტყობინება შევიდა. საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მაშველებმა საძიებო-სამაშველო ოპერაციები შეტყობინების მიღებისთანავე დაიწყეს. გაწმენდით-საძიებო სამუშაოებს მაშველები 700 მეტრის სიგრძეზე ჩამოწოლილ, 8-9 მეტრის სიღრმის მეწყერში ახორციელებდნენ. საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს განსაკუთრებულ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სამმართველოს მაშველებმა მეწყერში მოყოლილი გიორგი შეთიკაურის ცხედარი 12 ივნისს, დილით, ქოხში აღმოაჩინეს.

ამოიღეს არადეკლარირებული თანხა

საბაჟო გამშვებ პუნქტზე „თბილისის აეროპორტი“, მებაჟე ოფიცრებმა არადეკლარირებული თანხა ამოიღეს. მებაჟეებმა მოქალაქე ვ.ო.-ს ბარგის დათვალიერებისას არადეკლარირებული თანხა — 14 600 დოლარი და 5 160 ევრო — აღმოაჩინეს. საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად, ვ.ო.-ს, სანქციის სახით, საქონლის (თანხის) ჩამორთმევა შეეფარდა.

ზოომაღაზიაში დაურეგისტრირებელი პრეპარატები გამოჩნდა

საგენტოს თბილისის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ვეტერინარული აფთიაქების სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას ერთ-ერთი ზოომაღაზიიდან დაურეგისტრირებელი პრეპარატი ამოიღეს.

მათივე ინფორმაციით, ი.მ. „ირინა უსოიანი“ კუთვნილ ზოომაღაზიაში ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატ „მისტერ ზოოს“ რეალიზაციას სარეგისტრაციო დოკუმენტის გარეშე ახდენდა.

უწყების ცნობით, მაღაზიაში გამოვლინდა სხვა დარღვევაც, კერძოდ, არ ჰყავდათ ვეტერინარი ექიმი.

დაურეგისტრირებელი პრეპარატის რეალიზაციის გამო, საქართველოს კანონის „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის“ 71-ე მუხლის შესაბამისად, ბიზნესოპერატორი 1000 ლარით დაჯარიმდა და დაევალა აღნიშნული პრეპარატის ქსელიდან ამოღება და სააგენტოს წარმომადგენლის ზედამხედველობით განადგურება.

ინტერპრესი

◎ წინასაარჩევნო ციებ-ცხელება

ხელისუფლება ისევ ძველს ებღაუჭება



(მეხუთე გვერდიდან) **— მაშინ ისიც გვითხარით, როგორი უნდა იყოს დეპუტატი, რომ ამომრჩევლის ნდობა გაამართლოს?**

— დეპუტატები არ უნდა იყვნენ წერა-კითხვის უცოდინარი, ფულით გაზულუქებული პროვინციანი, ვისაც ყველა ეკონომიკური პრობლემა მოგვარებული აქვს და ახლა კარიერისა და დეპუტატის იმუნიტეტისათვის იბრძვის. პარლამენტის წევრების შერჩვის კრიტერიუმი პირადი ერთგულება და მატერიალური მდგომარეობა კი არა, არამედ ის უნდა იყოს, თუ ქვეყნის სასიკეთოდ რის გაკეთებას შეძლებს. თუ გვინდა, რომ პარლამენტში მოხვედრისადმი გაფეტიშებული დამოკიდებულება შეიცვალოს და ის შეივსოს განსწავლული, კანონპროექტებზე მომუშავე მაღალი დონის პროფესიონალი სპეციალისტებით, მაშინ აუცილებელია, პარლამენტარებს მოეხსნათ ყოველგვარი იმუნიტეტი.

— ბატონო ანზორ, თქვენ ზემოთ ღიად განაცხადეთ, რომ არჩევნების პერიოდში ხშირად ფული და მოსყიდვა გადამწყვეტ როლს ასრულებს. ეს რამდენად მისაღებია დემოკრატიული საარჩევნო სისტემისათვის?

— მისაღები კი არა, მე ვიტყოდი, დანაშაულია. არ შეიძლება ენდო ისეთ ეგრეთ წოდებულ პოლიტიკოსს, რომელმაც პარტიულ სიაში გამსვლელი ადგილის მოპოვებისათვის ან მაჟორიტარად არჩევისათვის ქრთამი გაიღო, დიახ, ქრთამი გაიღო ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ამავე სიბრტყეში განვიხილავ ყველა გრანტიჭამია პოლიტიკურ პარტიას, რომელსაც ლამაზი თვალებისთვის გრანტს არავინ მისცემს.

— აი, წინასაარჩევნო პერიოდში მასში მონაწილე სუბიექტებს უთანაბრო პირობებში რომ უწევთ საქმიანობა, ამაზე რაღას იტყვით?

— ეს ძალიან ცუდია. წინასაარჩევნო პერიოდში ნებისმიერ სუბიექტს (ფიზიკურ პირს, პოლიტიკურ ორგანიზაციას) უნდა ჰქონდეს სააგიტაციო საშუალებებისა და სახელისუფლებო რესურსების გამოყენების თანაბარი პირობები, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი ფინანსური, მატერიალური და სხვა რესურსების მიუხედავად, ეკრძალებათ ამ მიზნით თუნდაც ერთი ლარის დახარჯვა. მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის უმკაცრესი კონტროლის პირობებში უნდა მოხდეს ნებისმიერი სახელისუფლებო რესურსებისა და ამ მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების პროპორციული პრინციპით განაწილება და ხარჯვა.

— ბატონო ანზორ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მიგაჩნიათ, რომ არსებული საარჩევნო სისტემა ყავლგასულია, შედეგების გამყალბებელია და მოქმედი ხელისუფლება მას მხოლოდ თავის გადარჩენის მიზნით ებღაუჭება?

— ნამდვილად ასეა. თუ ამ სისტემას დავტოვებთ, ჩვენ ევროპელები კი არა, სადღაც ჯუნგლებში ჩარჩენილი ხალხი ვიქნებით. დღეს ბევრ თავმოყვარე ქართველს სამარცხვინოდ მიაჩნია ისეთი ქვეყნის მოქალაქეობა, სადაც არჩევნების გაყალბება ჩვეულებრივი ამბავია, სადაც წინასაარჩენვო პერიოდში ბევრს პირდებიან და ცოტას უსრულებენ, სადაც ამომრჩევლის გადმობირების მიზნით მათხოვრულ ქრთამს ურიგებენ და ტყუილებით აბოლებენ, სადაც ადამიანს არჩევანის უფლებას ართმევენ და თავიანთი შეხედულებისა და სურვილის მიხედვით იყენებენ.



— და ბოლოს, რას უსურვებდით ამომრჩეველს?

— მომავალ არჩევნებში ხმა მისცენ უანგარო, თავის საქმეზე შეყვარებულ მაღალპროფესიონალ ეკონომისტებს, იურისტებსა და პოლიტოლოგებს, რომელთა დეპუტატად არჩევა გახდება იმის გარანტი, რომ ახალმა პარლამენტმა ბოლოს და ბოლოს მიიღოს ისეთი კანონები, რომლებიც საქართველოში რეალურად ააღორძინებს ათეულწლოვანი მიტოვებულ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას, დაასაქმებს ასიათასობით უმუშევარს, უზრუნველყოფს გაღატაკებული მოსახლეობის კეთილდღეობას.

ესაუბრა
ოთარ ხუციშვილი

◎ მშობლების საყურადღებოდ!

ყველა ოჯახის ექიმი მარი მალაზონია: როგორ უნდა შეურჩიოთ ბავშვს კურორტი და როდის არ უნდა მისცეთ ვიტამინები?

ცნობილი და ბევრისთვის საყვარელი ექიმი **მარი მალაზონია** ამჯერად ბევრი მშობლისთვის აქტუალურ და მტკივნეულ საკითხზე — ბავშვის იმუნიტეტზე და ჰაერის გამოცვლის სარგებლობაზე გვესაუბრება.

— ქალბატონო მარი, როგორ გავუძლიეროთ ბავშვს იმუნიტეტი?

— ამასთან დაკავშირებით არსებობს არასწორი წარმოდგენა, რომ ჩვენ შეიძლება, დავლიოთ წამალი და ერთაბაშად გადავჭრათ ეს პრობლემა. არ არსებოს უნივერსალური პრეპარატი, რომელიც იმუნიტეტის უნივერსალურ ზრდას უზრუნველყოფს. უმჯობესია, გამოვიყენოთ, შევინარჩუნოთ და განვამტკიცოთ ის რესურსები, რაც ბუნებრივად გვაქვს. თუ ვთვლით, რომ სუსტია იმუნიტეტი, ასეთ შემთხვევაში კიდევ უფრო მეტად გვჭირდება ორგანიზმის გაკაჟება, ფიზიკური დატვირთვა, სწორი ფიზიკური დატვირთვის შეხამება სწორ ძილთან და საკვები პროდუქტების, პირველ რიგში, ბოსტნეულისა და ხილის მაღალი წილი საკვებ რაციონში. ეს პროდუქტები თვითონ შეიცავს იმ ნივთიერებებს, რომლებიც ორგანიზმის დამცველობითი ძალების გაძლიერებას უზრუნველყოფს.

— ჰაერის გამოცვლას რა წვლილი მიუძღვის იმუნიტეტის ჩამოყალიბებაში?

— რასაკვირველია, ძალიან მნიშვენლოვანია იმიტომ, რომ არსებობს აეროთერაპია, კურორტოთერაპია, კლიმატოთერაპია და ესაა მედიცინის დარგი ბუნებაში არსებული ფაქტორების გამოყენებით. არსებობს მკურნალობა იმ ყვავილის თუ წიწვის სურნელით, რითაც ბავშვის ორგანიზმის მდგომარეობა მკვეთრად უმჯობესდება, ამიტომაცაა საჭირო სუფთა ჰაერზე ბავშვის სეირნობა ქალაქის დაბინძურებული ჰაერის პირობებშიც კი. კურორტის შერჩევისას გასათვალისწინებელია ერთი გარემოება — ყველა ბავშვი ერთნაირად მზად არაა სხვადასხვა ჰაერის მისაღებად. თუ ბავშვს აქვს მომატებული მგრძნობელობა სხვადასხვა ნივთიერების მიმართ და მათ შორის იმათ მიმართ, რომელიც შეიძლება იყოს ბუნებრივ გარემოში, მაგალითად, ყვავილის, ჰაერის მტვერის, მაშინ ამ ბავშვების კურორტოთერაპია ძალიან ფრთხილად გადასაწყვეტი საკითხია და აუცილებლად უნდა იყოს შეთანხმებული პედიატრთან, იმიტომ, რომ ზუსტად უნდა შეირჩეს, სად და რამდენი ხნით უნდა წავიყვანოთ ბავშვი. არიან ბავშვები, რომელთაც შეიძლება მაღალტენიანი გარემო სჭირდებათ, მაგრამ ასევე არიან ისეთებიც, რომელთათვისაც მშრალი გარემო უკეთესია. შეიძლება ბავშვი დასავლეთ საქართველოში ზღვის სანაპიროზე ცხოვრობდეს, მაგრამ თუ ამ ბავშვს აქვს ბრონქული ასთმა, არ შეიძლება ის იმავე სივრცეში დავტოვოთ დასასვენებლად, მისთვის გაგიკვირდებათ და, გაცილებით უფრო კომფორტული გარემო თბილისი აღმოჩნდება.

გარდა ამისა, არსებობს ზოგადი წესები, რომელიც უნდა იყოს დაცული. სიცოცხლის პირველ წლებში მაქსიმალურად უნდა დავიცვათ ბავშვები მზის პირდაპირი გამოსხივებისგან და ეს წესი საერთოა ყველასთვის, იმიტომ, რომ ბავშვის არა მარტო კანი, არამედ ორგანიზმი არაა მომწიფებული იმისათვის, რომ გაუმკლავდეს გარემოს მავნე გავლენას და ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებას. კანს აქვს ფოტომეხსიერება, ანუ ის იმას კი არ იმახსოვრებს, წელს რამდენით დავტვირთეთ კანი და რამდენჯერ გავრუჯეთ, არამედ იმახსოვრებს, მთელი ცხოვრების მანძილზე რამდენჯერ მიიღო ნამზეური და რამდენად აღემატება ეს სასურველ და უსაფრთხო დოზას.

— თუ ბავშვი წავიყვანეთ საზღვაო კურორტზე, დავიცავით მზის უშუალო ზემოქმედებისგან თუნდაც ქოლგით, ესეც საზიანოა? ამ შემთხვევაშიც არ შეიძლება ბავშვის საზღვაო კურორტზე წაყვანა?

—კი, ასეთ შემთხვევაში შეიძლება. ბავშვი არ უნდა აღმოჩნდეს მზის სხივების პირდაპირი ზემოქმედების ქვეშ, სანაპიროზე უნდა გაიყვანოთ დილით, მაქსიმუმ 11 საათამდე. ზღვის წყალი ზოგადად ძალიან სასარგებლოა, მაგრამ ბავშვების შემთხვევაში საჭიროებს დიდ სიფრთხილეს ჰიგიენიდან გამომდინარე. ეს ფაქტორი გასათვალისწინებელია აუზის შემთხვევაშიც, ზღვის წყალი შეიძლება სახიფათო იყოს ინფიცირების თვალსაზრისით, მაგრამ აუზის წყალი, რომელიც ქიმიურადაა დამუშავებული პატარა ბავშვებთან მიმართებაში საყურადღებოა, ანუ ასეთ დროს ჰიგიენის წესები უმნიშვნელოვანესია.

— რამდენად სწორია გაზაფხულსა და შემოდგომით ვიტამინების მილების პრაქტიკა?

— შემოდგომაზე, როცა ქართული ტრადიციული კალათა სავსეა ვიტამინებითა და მინერალებით დატვირთული ხილით, ბოსტნეულით, რატომ უნდა გაგვიჩნდეს სურვილი, რომ ხელოვნურად მიღებული ესა თუ ის ვიტამინი ჩავრთოთ ბავშვის რაციონში? მით უფრო, რომ რეალურად ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობა დამოკიდებულია კვებაზე, სწორ კვებაზე, რაც არ ნიშნავს მსუყედ კვებას და დამოკიდებული არაა ფინანსურ მდგომარეობაზე. ბევრ მშობელს გული სწყდება, რომ არა აქვს სათანადო ფინანსური მდგომარეობა და ფიქრობს, რომ ბევრი აკლდება ბავშვს. მათ გასაგონად უნდა ვთქვა, რომ შეიძლება მწირი ბიუჯეტითაც კი, ბავშვებს სწორად შევურჩიოთ საკვები. ჩვენ არც ისე მდიდრები ვართ, რომ თავს უფლება მივცეთ, არასწორ პროდუქტებში დავხარჯოთ ფული. ჩვენ უნდა შევიძინოთ მხოლოდ ოჯახისა და ორგანიზმისათვის საჭირო პროდუქტები.

ამ ყველაფრის მიუხედავად, თუ ბავშვმა იავადმყოფა, ჯანმრთელობასთან დაკავშირებით აქვს გარკვეული პრობლემები, პედიატრის შეფასებით ბავშვს განვითარებისთვის სჭირდება ვიტამინი, რასაკვირველია, უნდა ჩავრთოთ. მეტიც, თუ გამოკვლევებით დადგინდა, რომ ბავშვს აქვს მაგალითად, რკინის ნაკლებობა, ან კონკრეტული ჯგუფის ვიტამინის ნაკლებობა ორგანიზმში, მაშინ არ მოვიტყუოთ თავი და არ გვქონდეს იმის იმედი, რომ მხოლოდ საკვებით შევავსებთ დანაკლისს. თუ დეფიციტი ანალიზებით დადასტურდა, დიახ, უნდა მივცეთ მედიკამენტები და საკვები დამხმარე ფუნქციას შეასრულებს, მაგრამ თუ ამის საჭიროება არაა, მაშინ სწორი, დაბალანსებული, რაციონალური კვებით შეიძლება ყველა საჭიროების დაკმაყოფილება.

ძალიან დიდი სურვილი მექნება, მშობლებმა ყველა პრობლემის გადაჭრის უნივერსალურ გზად არ ჩათვალონ ვიტამინები, რადგან ვიტამინები გახლავთ წამალი, წამალი სჭირდება ავადმყოფს და თუ ასეთი საჭიროება არ არის, ყოველი შემთხვევისთვის, ისე, პროფილაქტიკისთვის, ვიტამინების მოხმარება არასწორი გადაწყვეტილებაა, რადგან ყველა ბავშვს ვიტამინებზე ერთნაირი მოთხოვნილება არა აქვს და ყველას ვიტამინების შევსების ერთნაირი საჭიროება არა აქვს. თუ ჩვენ ორგანიზმს ხელოვურად, დამატებით ვიტამინით ვამარაგებთ, ეს ნიშნავს იმას, რომ შეიძლება მოხდეს დოზის გადაჭარბება, ვიტამინების სიჭარბე კი ისეთივე სახიფათოა, როგორც ნაკლებობა.

ესაუბრა
თეონა რამაზაშვილი

◎ დებიუტანტი

„საბურთალოს“ აღზევება და სამომავლო კონკურენტები

წლეულს საფეხბურთო კლუბმა „საბურთალომ“ საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის პირველობა მოიგო და უმაღლეს ეშელონში აღზევდა. გუნდის ამ წარმატებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის კლუბის გენერალურ დირექტორ კახა ჭუმბურიძეს. მთელი მისი შეგნებული ცხოვრება ტყავის ბურთთანაა დაკავშირებული. ფეხბურთის ანაბანას ვაკეში ყოფილი სტუდქალაქის სტადიონზე ეზიარა. „ბასაში“ მისი პირველი მწვრთნელები იყვნენ ცნობილი სპეციალისტები - თემურ თვალჭრელიძე და ოთარ მელაძე. თბილისის ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში სწავლისას ელგუჯა გუგუშვილი ავარჯიშებდა. საქართველოს ჩემპიონატებში ითამაშა სხვადასხვა გუნდის შემადგენლობაში. 1998 წელს ობიექტური მიზეზით აქტიურ ფეხბურთს თავი დაანება.

— 1999 წელს მამუკა კვარაცხელიამ, გიგა არევაძემ და გია ისიანმა საფეხბურთო სკოლა „საბურთალო“ დააარსეს, — გაიხსენა 16 წლის წინანდელი ამბავი ბატონმა კახამ. — იოსებიძის ქუჩაზე 161-ე საჯარო სკოლის ორ პატარა მოედანს იყენებდნენ სავარჯიშოდ. ბიჭებმა ჩემს ძმას — ქართლოსს სთხოვეს საფეხბურთო სკოლის თავკაცობა. იგი სხვა საქმით იყო დაკავებული და მეგობრებს უთხრა — ყოველმხრივ დაგიდგებით გვერდით, მაგრამ სკოლის ხელმძღვანელობას ვერ შევძლებ, სამაგიეროდ ჩემს ძმას გავუწევო რეკომენდაციას. ისინიც დათანხმდნენ და ასე გავხდი 1999 წელს „საბურთალოს“ დირექტორი. ჩამოვაყალიბეთ რამდენიმე ასაკობრივი ჯგუფი, რომლებიც 1991 წელს და უფრო გვიან დაბადებული ბიჭებით დავაკომპლექტეთ. მოზარდებთან მუშაობდნენ კახა ამირიძე, თემურ შალამბერიძე, დავით კევლიშვილი, გიორგი ჭიაბრიშვილი და მამუკა ღვიტიძე, მთავარ მწვრთნელად გია გეგუჩაძე მოვიწვიეთ. მართალია, მთელი ჩვენი გუნდი მონდომებით მუშაობდა, მაგრამ ვგრძნობდით, რომ ეს ჯერ კიდევ არ იყო ის, რისთვისაც შეიქმნა „საბურთალო“ და რისკენაც ვისწრაფოდით.

— და ამ ძიების პროცესში უცებ თბილისის „დინამოში“ აღმოჩნდით...

— დიახ, ასე იყო. 2002 წელს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა დაინიშნა. პრეზიდენტობაზე კენჭს იყრიდა ჩემი მეგობარი დავით პეტრიაშვილი, რომელმაც საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელად ამირჩია. მერე დავითი თბილისის „დინამოს“ მმართველ დირექტორად დაინიშნა. მან „დინამოსთან“ არსებული საფეხბურთო აკადემიის კოორდინატორად გადამიყვანა, მერე „დინამოს“ ტექნიკურ და სპორტულ დირექტორად დამაწინაურეს.

— მახსოვს მაშინდელი „დინამოს“ წარმატებები...

— -გუნდის მთავარ მწვრთნელად გია გეგუჩაძე დაინიშნა. მისი ხელმძღვანელობით „დინამო“ საქართველოს თასს დაეუფლა, 2004 წელს შესარჩევში კრაკოვის „ვისლა“ დაამარცხა და უეფას თასის გათამაშების ჯგუფურ ეტაპზე გავიდა. უფრო ადრე ივო შუშაკის თავკაცობით დსთ-ს თასი მოვიპოვეთ, ხოლო მოვიანებით, უკვე კახი ცხადაძის მწვრთნელობისას, ქვეყნის ჩემპიონები გავხდით.

— მთელი ძალისხმევა „დინამოზე“ გადაიტანეთ და „საბურთალო“ უყურადღებოდ დარჩა?

— არა, ასე არ ყოფილა. მართალია, ჩემი ძმისა და მისი მეგობრების მიერ შექმნილი სკოლისთვის უწინდებურად ვეღარ ვიცლიდი, მაგრამ უყურადღებოდ მაინც არ დამიტოვებია, მით უმეტეს, რომ 2005 წელს „საბურთალო“ შეიძინა ჰოლდინგმა „იბერია-ბიზნესჯგუფმა“, რომელსაც ყოფილი ფეხბურთელი და სპორტის ამ სახეობაზე უზომოდ შეყვარებული კაცი ტარიელ ხეჩიკაშვილი ხელმძღვანელობდა. შემთხვევითი არ არის, რომ ბატონი ტარიელი საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრად დანიშნეს. დარწმუნებული ვარ, ამ თანამდებობას იგი წარმატებით გაართმევს თავს. „საბურთალომ“ მნიშვნელოვან წარმატებებს მას შემდეგ მიაღწია, რაც იგი ამ ჰოლდინგმა შეიძინა. იმ პერიოდში სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტისა და კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი ვიყავი, საქმესაც თავს კარგად ვართმევდი, მაგრამ გული მაინც ჩემი კლუბისკენ მომიწევდა. 2007 წელს „საბურთალოს“ გენერალურ დირექტორად დავინიშნე და დღემდე ამ თანამდებობაზე ვარ.

— და ბოლო რვა წლის განმავლობაში თქვენ ბევრი რამ გააკეთეთ...

— ცხადია, მარტო მე რას გავხდებოდი, ჰოლდინგის ხელმძღვანელობის ყოველდღიური ზრუნვა და თანადგომა რომ არა. შემოვიკრიბეთ საქმის ერთგული ადამიანები. დავნერგეთ წვრთნის ახალი სისტემა. უცხოური კლუბებისა და ჩვენი გამოცდილებითაც მივხვდით, რომ არ შეიძლებოდა, მოზარდებს წლების განმავლობაში მხოლოდ ერთი მწვრთნელი ჰყოლოდათ, ამიტომ შემოვიღეთ ეგრეთ წოდებული „გადაცემის“ სისტემა, ანუ დამწყებებთან სხვა მწვრთნელი მუშაობს, უფროსებთან — სხვა. პატარებს თემურ ფოცხვერია ჩავუყენეთ სათავეში, 14 წლის ასაკს ზემოთ ფეხბურთელები გიორგი დევდარიანმა ჩაიბარა. ამგვარმა სისტემამ გაამართლა. ძალიან დაწინაურდნენ 1993 წელს დაბადებული ფეხბურთელები. მათგან დღეს ყაზაიშვილი, ჭანტურია და პაპავა ევროპულ გუნდებში თამაშობენ, პარუნაშვილი და ხოჭოლავა თბილისის „დინამოს“ ღირსებას იცავენ, კობახიძე ყაზანის „რუბინშია“, ტვილდიანი ქობულეთის „შუქურაში“ ასპარეზობს. 1994 წელს დაბადებულებს გიორგი ცეცაძე ავარჯიშებდა, 1996 წელს დაბადებული ჩვენი 11 ფეხბურთელი ამას წინათ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებში იყო გამოძახებული, მათგან რვამ გუნდის ძირითად შემადგენლობაში ითამაშა.

— ასეთი ფეხბურთელების მომზადებას სათანადო ბაზა და სათამაშო გამოცდილება სჭირდება.

— გეთანხმებით. ამ მხრივაც „საბურთალოში“ ყოველწლიურად უმჯობესდება მდგომარეობა. როგორც გითხარით, მოღვაწეობა 161-ე სკოლის ორი პატარა მოედნით დავიწყეთ, ამჟამად იოსებიძეზე ხუთი მოედანი გვაქვს, რომელსაც დაემატა ჯერ „ბენდელას“ ერთი მინი და ერთიც სტანდარტული, შემდეგ კი გლდანში „ამერის“ ერთი მინი და ორი სტანდარტული ხელოვნურსაფარიანი სტადიონი. ვეცდებით, ბაზები მაღე ბუნებრივსაფარიანი მოედნებითაც გავიმდიდროთ. რაც შეეხება სათამაშო გამოცდილებას, ასპარეზობა ელიტრაუნდიდან დავიწყეთ, შემდეგ ჭაბუკთა ლიგაში გადავედით, სადაც ფეხბურთის ფედერაციის, კერძოდ, რევაზ არველაძის თანადგომით აღმოვჩნდით. ჩვენთვის გამონაკლისი დაუშვეს, რადგან ჭაბუკთა ლიგაში მხოლოდ უმაღლესი ლიგის სათადარიგო გუნდების წევრები თამაშობენ. ყველას ვაჯობეთ. როგორც წარმატებული გუნდი პირველ ლიგაში დაგვიშვეს. ცხადია, თავიდან ლიგაში ადგილის შენარჩუნებასა და გამოცდილების მიღებას მოვუნდით. 2014-2015 წლების სეზონი კი ჩვენთვის წარმატებული გამოდგა. უმაღლეს ლიგაში აღზევება გადავწყვიტეთ და პირობაც შევასრულეთ — პირველი ლიგა 21-ქულიანი უპირატესობით მოვიგეთ. გუნდი ამჟამად 90 პროცენტზე მეტი საკუთარი კადრებითაა დაკომპლექტებული, მარტო სამი ფეხბურთელი გვყავს მოწვეული. თუმცა, ჩვენი მიზანი მხოლოდ უმაღლეს ლიგაში გამოსვლა როდია — კლუბის აღზრდილების უცხოურ კლუბებში ინტეგრირება გვინდა. ბიჭების ოსტატობის დონის ამაღლების მიზნით ესპანელი მწვრთნელი ანდრეს კარასკო ჩამოვიყვანეთ, რომელმაც წელიწადნახევარში ზღვა სამუშაო შეასრულა. განსაკუთრებით მოზარდებთან იმუშავა, მოხდა ქართული და ევროპული საფეხბურთო სკოლების სინთეზი. პროექტის სულისჩამდგმელი ბატონი ტარიელ ხეჩიკაშვილი გახლდათ. ვფიქრობ, ამ გეგმით მუშაობა მომავალშიც მოგვიტანს წარმატებებს, რადგან მოზარდები იზრდებიან წვრთნის თანამედროვე მეთოდებით. როგორც გითხარით, დადგენილი გვაქვს, რომელი მწვრთნელი რომელი ასაკის მოზარდებთან იმუშავებს. უფროსებს ჯერ თემურ შალამბერიძე ავარჯიშებდა, მერე გუნდი გიორგი ჭიაბრიშვილმა ჩაიბარა, რომელიც გამოცდილი სპეციალისტია — „გაგრასა“ და „ზესტაფონში“ უმუშავია, „საბურთალოსაც“ დაატყო თავისი ხელი, ამიტომაც, ტრაბახად ნუ ჩაგვითვლით და, ჩვენი ბიჭები მოედანზე მთელი სეზონის განმავლობაში გამოირჩეოდნენ.

— ახალ სეზონში რას ისახავთ მიზნად?

— ცხადია, უპირველესი ისევ ფეხბურთელების უცხოურ კლუბებში ინტეგრაცია იქნება, თან ეროვნულ ჩემპიონატში წარმატებულ გამოსვლაზეც ვიზრუნებთ. ჩემპიონობა ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ საპრიზო ადგილებზე უარს არ ვიტყვით. ივნისის ბოლოს შევიკრიბებით, ფეხბურთელები სამედიცინო შემოწმებას გაივლიან, ივლისის დასაწყისში კი „საბურთალო“ თურქეთს მიაშურებს საწვრთნელი შეკრების გასავლელად. ჩვენი აღზრდილი გიორგი ფანცულაია დაგვიბრუნდა. ვიცით მათი შესაძლებლობები — გუნდის პოტენციალის გაძლიერებაში დაგვეხმარებიან. ფიზმომზადების ხორვატი სპეციალისტი ივო ვუჩეტიჩი ჩამოვიყვანეთ, რომელმაც ჩვენს მწვრთნელებთან ერთად ექვსთვიანი პროგრამა შეადგინა, რომლითაც ვიხელმძღვანელებთ და, ვფიქრობ, წარმატების ერთ-ერთი საწინდარი ესეც იქნება.

— მოზარდებზე არაფერი გვითქვამს.

— დღეს „საბურთალოში“ 700-მდე ყმაწვილი ვარჯიშობს სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში. ყველაზე ნიჭიერები აკადემიაში იყრიან თავს, სადაც გადასახადისგან თავისუფლდებიან, მეტიც — კონტრაქტებს ვუფორმებთ და სტიპენდიებსაც ვაძლევთ.

— „ბენდელას თასზეც“ მინდა გკითხოთ...

— ამ შეჯიბრებას ჩემმა ძმამ — ქართლოს ჭუმბურიძემ მეგობრებთან ერთად ჩაუყარა საფუძველი. 23 წელიწადია, ტარდება. უამრავმა ფეხბურთელმა იასპარეზა მასში, როგორც პროფესიონალმა, ისე მოყვარულმა. წლების განმავლობაში საქართველოს ნაკრებსა და ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელებიც იბრძოდნენ მთავარი პრიზისთვის. ამჟამად „ბენდელას თასისთვის“ ჭაბუკები ეჯიბრებიან ერთმანეთს. მათთვის ეს პაექრობა თვითდამკვიდრებისა და თავის გამოჩენის კარგი საშუალებაა. ტურნირი ორი ვაჟკაცის — ზაზა ბენდელიანისა და ქართლოს ჭუმბურიძის სახელთან ასოცირდება და ყველა იმ ადამიანს ეძღვნება, რომლებმაც აფხაზეთსა და სამაჩაბლოში საქართველოსთვის თავი გაწირეს, ამიტომაც „ბენდელას თასის“ ჩირაღდანი არასდროს ჩაქრება.

ესაუბრა
ვაჟა დანელია

◎ ფეხბურთი

კოპა ამერიკა მასპინძელმა გამარჯვებით გახსნა

კოპა ამერიკა-2015 თბილისის დროით შუაღამისას საზეიმოდ გაიხსნა. ცერემონიის შემდეგ მაყურებლებმა სანტიაგოს „ესტადიო ნასიონალზე“ ტურნირის მასპინძლის ჩილეს ეროვნული ნაკრების და ეკვადორის დაპირისპირება იხილეს. ჩილელთა გასახარად მათმა გუნდმა სასტარტო შეხვედრა 2:0 მოიგო.

პირველი ტაიმი უგოლოდ დასრულდა, ხოლო 67-ე წუთზე ანგარიში არტურო ვიდალმა გახსნა. ტურინის „იუვენტუსის“ ნახევარმცველი საჯარიმოში შეიჭრა, თუმცა მისი გაჩერება წესების დარღვევით მოხდა, თერთმეტმეტრიანის რეალიზება კი თავად ვიდალმა მოახერხა.

მეორე გოლი „ქუინზ პარკ რეინჯერსის“ თავდამსხმელმა ედუარდო ვარგასმა ალექსის სანჩესის გადაცემის შედეგად გაიტანა. მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად კი არტურო ვიდალი დაასახელეს.

A ჯგუფის მეორე შეხვედრა მექსიკასა და ბოლივიას შორის ამაღამ თბილისის დროით 03:30 საათზე დაიწყება.

ხორხე სამპაოლის გუნდმა ამ გამარჯვებით გულშემატკივრების გული გაახარა. ჩილელი ქომაგები „ლა როხასაგან“ ამ ტურნირზე ბევრს ელიან. მიზეზი მარტივია: კოპა ამერიკის ტურნირის 99-წლიანი ისტორიის განმავლობაში ჩილელებს ესოდენ პრესტიჟული ჩემპიონატი ჯერ არ მოუგიათ.

ჩილე ტურნირს მეშვიდედ მასპინძლობს. „ესტადიო ნასიონალზე“ გამართულ ბოლო ოთხ ფინალში არგენტინამ იმარჯვა, ხოლო ორჯერ „ალბისელესტე“ ურუგვაისთან დამარცხდა. კოპა ამერიკის გამარჯვებულთა სიაში კი ბოლივია და პერუც იმყოფებიან.

საკუთარი გუნდისგან გამარჯვებას არგენტინელებიც ელიან. მათმა გუნდმა კოპა ამერიკის თასი ბოლოს 1993 წელს მოიპოვა. არგენტინელები ჩილეში გამართულ ტურნირზე ფინალში გადიან ხოლმე, მათ ქომაგებს კი ეს ფაქტი იმედის საბაბს აძლევს.

გიორგი შოთაძე

◎ კალათბურთი

ამჯერად გუნდმა ისოლისტა

კალათბურთის ეროვნული ასოციაციის ფინალურ სერიაში ანგარიში გათანაბრდა, თუმცა, საამისოდ, პირდაპირი მნიშვნელობით, სისხლი დაიღვარა.

„კლივლენდი“ — „გოლდენ სტეიტი“ 82:103
(სერიის ანგარიში 2:2)

კუთხეში მიყენებულმა სტუმრებმა ყოფნა-არყოფნის მატჩი იმდენად აგრესიულად დაიწყეს, რომ ერთ-ერთ ეპიზოდში ბოგატმა ვერ მოზომა და ბურთისათვის ბრძოლაში გართულმა თვით ლებრონ ჯეიმსი გასტყორცნა სარბიელს მიღმა, სადაც „მეფე“ ერთ-ერთი რეპორტიორის ფოტოკამერას შეეჯახა და თავი გაიტეხა.



მართალია, მასპინძელთა ლიდერმა თამაში განაგრძო, მაგრამ აღნიშნულმა შემთხვევამ იგი კალაპოტიდან ამოაგდო, რამაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა კიდეც შეხვედრის ბედი.

რაც შეეხება ოქროსშტატელებს, ამჯერად მთელი გუნდი სოლისტობდა (კარი, იგუოდალა, ლი), სათადარიგოთა უკეთესი სკამი კი ის კოზირია, რომელიც რეგულარული სეზონის გამარჯვებულებს დამატებით ბონუსს ანიჭებს. მით უმეტეს, როცა ოკლენდელებმა საკუთარი მოედნის უპირატესობა დაიბრუნეს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ დედაქალაქი

ჩანგრეული სკამების სკვერი

რამდენიმე კვირის წინათ, გრიბოედოვის სახელობის თეატრის მცირე დარბაზისა და „თავისუფალი თეატრის“ მიმდებარედ, მეტროს სადგურ „თავისუფლების მოედნიდან“ ახალგაზრდობის სასახლის ბაღის გვერდით მთავრობის რეზიდენციამდე ასასვლელი კეთილმოეწყო.

იმ ადგილას მშვენიერი პატარა სკვერი გაკეთდა, რომელსაც უდროოდ დაღუპული ნიჭიერი მსახიობისა და პოეტის ნიკო გომელაურის სახელი დაერქვა, მისი ხსოვნის პატივისცემის ნიშნად პატარა ქვის სტელაც დაიდგა.

სკვერის გახსნის ცერემონია საზეიმო იყო, მას ქალაქის მთავრობის წევრები, დედაქალაქის საზოგადოების, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები დაესწრნენ. საგანგებოდ გამართული განათება, ახალი მყუდრო ლამპიონები, ერთი შეხედვით კოპწია ბეტონის სკამები და გამწვანება, იმის იმედს იძლეოდა, რომ დედაქალაქს კიდევ ერთი ლამაზი, მყუდრო, კეთილმოწყობილი და გამორჩეული კუთხე შეემატებოდა. გამორეული თუნდაც იმით, რომ რამდენიმე ადგილას ასფალტის საფარში ნიკო გომელაურის ლექსების სტრიქონებია ჩასმული, ასეთი რამ კი თბილისში სხვაგან არსადაა. ეს ხიბლი სკვერს, უდავოდ, აქვს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ახალგაზრდობის ბაღიდან გადმოწოლილი შავი თუთისგან ის ადგილები, სადაც ნიკო გომელაურის ლექსებია, ასფალტიც და ლითონიც ასოებით ისეა ერთიანად გაშავებული, რომ მათი წაკითხვა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ამას ნამდვილად სასაყვედუროდ არ ვამბობთ, მაგრამ, დარწმუნებული ვართ, პროექტის არქიტექტორს ეს გარემოება უთუოდ უნდა გაეთვალისწინებინა.

ახლა კი ამ ერთ უხერხულობას ისიც დაემატა, რომ ბაღის ბეტონის სკამები, ჯერ დასაჯდომად მოუხერხებელია – ზამთარში თუ ზაფხულში აუცილებლად მუყაო ან ქსოვილის ნაჭერი უნდა დაიგოს კაცმა, თორემ წელსქვევით ანთება ზედა აქვს. მეორეც ის, რომ მოუხერხებლობასთან ერთად თან უხარისხო გაკეთებულიცაა – რამდენიმე დღის წინათ დასასვენებლად ჩამომჯდარი ხანდაზმული ქალბატონის სიმძიმისგან ერთ-ერთი სკამი... ჩაინგრა და იგი მართალია მსუბუქად, მაგრამ მაინც დააზიანა და, სხვა თუ არაფერი, გული ხომ გაუხეთქა!

კიდევ ერთი გულდასაწყვეტი გარემოება ის გახლავთ, რომ „თავისუფალი თეატრის“ შესასვლელთან გამწვანება, რომელიც სკვერის ნაწილად აღიქმება, რაღაც სამშენებლო ნაგვითაა სავსე, რაც იმ ადგილს პეწსა და სიკოხტავეს არაფრით უხდება.

ისე კაცმა რომ თქვას, რამდენი კეთილი საქმე „ჩაფლავდა“ დედაქალაქში დამპროექტებელთა თუ შემსრულებელთა მიერ დაშვებული წუნით და უხარისხობით, ნამდვილად ძნელი დასათვლელია. არადა, როცა თბილისის ინფრასტრუქტურის გამართვაზე, სტუმართათვის მის მიმზიდველობაზე ამდენს ვლაპარაკობთ, განა შეიძლება ისევ ხარისხზე, გნებავთ, გემოვნებაზე კრიტიკული მასალის წერა გვიხდებოდეს?

ამიტომაც იძულებულნი ვართ, კიდევ ერთხელ გავიმეოროთ იმათ გასაგონად, **ვისაც დედაქალაქის ყველა საზოგადოებრივ „წვრილმანზე“ ყოველდღიური ზრუნვა სამსახურებრივად ევალებათ: ნუთუ თქვენი ნახელავისა მაინც არ გრცხვენიათ, ბატონებო?**

როცა ძაღლი პატრონს ვერ ცნობს...

მერამდენე წელია, თბილისში უპატრონო ცხოველების, განსაკუთრებით კი მაწანწალა ძაღლების საკითხს გადაწყვეტა არა და არ ეღირსა.

ბოლო დროს თბილისის საკრებულოსთანაც რამდენიმე საპროტესტო აქცია გაიმართა, კეთილმა ადამიანებმა უპატრონო ცხოველთა თავშესაფარიც შექმნეს, თითქოს ქალაქის შესაბამისი სამსახურიც მუშაობს, მაგრამ პრობლემა ამით არ ქრება.

ბოლო დროს ამ მხრივ მდგომარეობა მეტად დაიძაბა მეტროს სადგურ „ღრმაღელესთან“, სადაც ერთ შერჩეულ გრილ ადგილას მაწანწალა ძაღლების ხროვა „დაბანაკდა“. ერთმა იქვე მჯდომმა გარემოვაჭრე ქალბატონმა ისიც გვითხრა, წინა დღით ორი ბავშვი, რომლებმაც ძაღლებს დაუყვირეს, დაკბენას ძლივს გადავარჩინეო.

არადა ყოველ წუთს მეტროს კართან აუარება ხალხი ირევა, იქვე ავტობუსებისა და სამარშრუტო ტაქსების გაჩერებებია... ნუთუ ამ ძაღლებმა მაინცდამაინც ვინმე უნდა დაკბინონ, ღმერთმა დაიფაროს, და რაღაც უბედურება შეყაროონ, რომ სანიტარიულ-ვეტერინარიული სამსახურის თავკაცებმა „პირჯვარი“ გარდაისახონ?

მოგვაშორეთ მაწანწალა ძაღლები შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელებო!

ოთარ ტურაბელიძე

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

◎ წკეპლიკა

პასუხი თქვენც მოგეთხოვებათ!

კაპიტანო ეკა გიგაურო, გვიპასუხეთ: რის საფუძველზე თვლით ნაციონალების მესვეურ მკვლელებს პოლიტიკურ პატიმრებად? ამ განცხადებით თქვენ არანაკლები დამნაშავე ხართ და პასუხი თქვენც მოგეთხოვებათ!

ლონდა მდივანი

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი სამძიმარს უცხადებს ცნობილ მხატვარს, ბატონ საურმაგ ღამბაშიძეს მეუღლის, ქალბატონ

ნანა ჩხიკვაძე-ღამბაშიძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

მერაბ ბერძენიშვილი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი, ომისა და შეირაღებული ძალების ვეტერანი, მაღალი დონის პროფესიონალი, პატიოსნებით და საქმისადმი პასუხისმგებლობით გამორჩეული პიროვნება, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აუდიტის დეპარტამენტის უფროსი აუდიტორი

გიორგი ფრუიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ხსოვნა

ნინო თომაძის სევდიანი იუბილე

„ჩემი ოჯახის სიმრავლე დაირღვა შენი წასვლითა... – შენზე მოძღვნილ ლექსს გულიც ამოაყოლა ამ სტრიქონებით ნაადრევად გატანჯულმა მამამ, დამსახურებულმა პოლიგრაფისტმა, ბატონმა თენგიზ თომაძემ. მართლაც, რომ მრავალშვილიანი, ერთგული, ქართული, თბილი ოჯახის შვილი იყავი და თავადაც ასეთი ოჯახის დედა და ნაადრევად ბებოც გახდი. შენი მოულოდნელი წასვლით ყველაზე მეტად ხომ მათ დასწყვიტე გული და შემდეგ კი ყველას, ვინც გიცნობდა, თუნდაც ხანგრძლივი ურთიერთობა არ ჰქონოდა შენთან. ესენი პირველ რიგში არიან შენი მეგობრები, კოლეგები გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელიდან“, იმ დიდი საგამომცემლო სახლიდან, რომელსაც „სამშობლო“ ერქვა და სადაც შენი უსაყვარლესი მამა და ძმა მსახურობდნენ.

ჩვენო ნინო, მართლაც ბევრი მოასწარი ამ ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე. ყველაზე მეტი შენგან დატოვილი სიკეთე და ერთგულება არის, რომელიც ყველას ემახსოვრება. დღეს 52 წელი გისრულდება და შენი ყველა ახლობელი პირველად ხვდება უშენოდ სევდიან დაბადების დღეს. ღმერთმა დანატოვარი გიცოცხლოს და შენი სული მარადიული ზეციური საქართველოდან ხარობდეს მათი სიკეთით.

მეგობრები

◎ ინფორმაცია

სკოლა-პანსიონში ვადაგასული სურსათი ჰქონდათ

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №2 საჯარო სკოლა-პანსიონში ვადაგასული სურსათი გამოავლინა.

აღნიშნულ სკოლა-პანსიონში მოსწავლეებმა სავარაუდოდ, საკვებისმიერი ინტოქსიკაცია მიიღეს, რის შესახებაც სააგენტოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრიდან აცნობეს.

სურსათის ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონული სამმართველოს წარმომადგენლებმა ვითარება ადგილზე შეისწავლეს. მონიტორინგის შედეგად სკოლა-პანსიონში გამოვლინდა ვადაგასული სურსათი – 165 ცალი კვერცხი და 5 კილოგრამი სპრედი, რომლებიც კანონმდებლობის შესაბამისად განადგურდება; ასევე აიღეს არაჟნის ნიმუშები, რომლებიც კვლევისთვის აკრედიტებულ ლაბორატორიაში გადაიგზავნა.

მათივე განმარტებით, დოკუმენტური შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სოფელ სალიბაურის №2 საჯარო სკოლა-პანსიონს სურსათით ამარაგებს ფონდი „ვიქტორია“, რომელიც ბიზნესოპერატორად არ არის დარეგისტრირებული, რის გამოც იგი 500 ლარით დაჯარიმდა.

„დონატოს“ შებოლილი თევზი ჯანმრთელობისთვის საშიშია

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა შებოლილი თევზის ფალსიფიკაციის და ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში პროდუქციის დამზადება-გასაღების ფაქტზე, შპს „დონატოს“ ფაქტობრივი მმართველი თენგიზ წიქარიძე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა.

გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებული, შპს „დონატოს“ კუთვნილ საწარმოში, სანიტარიული ნორმებისა და დადგენილი სტანდარტების უხეში დარღვევით სისტემატურად ამზადებდა და შემდგომ რეალიზაციას უწევდა დიდი ოდენობით, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიშ შებოლილ თევზს.

საგამოძიებო სამსახურის ცნობით, ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, პროდუქცია არ შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს, შეცვლილი აქვს თვისობრიობა და საშიშია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის.

◎ სულიერება

სულთმოფენობიდან II კვირიაკე

14 ივნისს საქართველოს მართლმადიდებელი წმინდა სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ყოველთა ღირსთა და ღმერთშემოსილ მამებს, რომლებიც საქართველოში, რუსეთსა და ათონის წმინდა მთაზე მოღვაწეობდნენ.

ეს დღესასწაული გარდამავალია და სულთმოფენობის დღესასწაულის შემდეგ მეორე კვირიაკეს აღინიშნება.

ტროპარი: *უდაბნოსა მოქალაქედ და ხორცითა ანგელოსად და სასწაულთა მოქმედად გამოსჩნდი ღმერთშემოსილო მამაო წმიდაო (სახელი), მარხვითა, მღვიძარებითა და ლოცვითა მადლი ზეცით მოიღე და ჰკურნებ უძლურთა სენთა და სულთა, რომელნი სარწმუნოებით შენდა მოილტვიან. დიდება, რომელმან მოგცა შენ ძალა, დიდებაი, რომელმან გვირგვინოსანგყო შენ, დიდებაი, რომელი იქმს შენ მიერ ყოველთა ზედა დღესასწაულთა.*

გიული ლიპარტია

ყურადღება!

იყიდება დიდ დიღომში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. 1 კვ.მ. — 120$, ორ ნაწილად გაყოფისას — ფასი შეთანხმებით. ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.



კაფსულა „საიმი“ მამაკაცებისთვის

კაფსულა „საიმი“ ინტიმური ცხოვრების გაუმჯობესების მსურველი მამაკაცებისთვისაა შექმნილი. მათი 100 პროცენტით მცენარეული შემადგენლობა ნებისმიერ სასმელებთანაა შეთავსებადი.

ერთი კაფსულა „საიმის“ მიღების შემდეგ, ერექცია მდგრადობას იძენს, მამაკაცის ორგანიზმის პოტენციური შესაძლებლობები სრულად მობილიზდება და ხასხასა მგრძნობიარე შეგრძნებებს იწვევს.

„საიმის“ ერთი კაფსულა ძალიან, ძალიან დიდხანს მოქმედებს!

ეს პრეპარატი თბილისის საფთიაქო ქსელებში შემოსული ჯერჯერობით არ არის, სავარაუდოდ მალე გაჩნდება, მოსკოვში აფთიაქების მისამართების გაგება კი შემდეგი ტელეფონებითაა შესაძლებელი:

(495) 220-26-80; 226-54-60

სკანვორდი



რეკლამა
293-37-87;
568 82-09-84.
მაჩაბლის ქ. №7.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— **მაპატიეთ**, სერ, მაგრამ კაზინოში ვერ შეგიშვებთ! უჰალსტუხოდ ხართ!

— მერე რა? აი, ეს ტიპი საერთოდ შიშველია.

— კი, სერ, მაგრამ იგი გამოდის...

* * *

— **არ** მოგწონთ გასაბერი ქალები?

— არა, ისინი რეზინისა არიან.

— ყველა ქალი გასაბერია! როგორც ჩანს, თქვენ მათი სწორად გაბერვა არ იცით.

* * *

ავტოინსპექტორი მანქანას აჩერებს:

— მანქანის დოკუმენტები გაქვთ?

— აი, ინებეთ.

— მართვის მოწმობა.

— კი, ბატონო.

— აფთიაქი და ცეცხლსაქრობი?

— აი, ნახეთ!

— ყოჩაღ, ყველაფერი წესრიგში გქონია. მოდი, ას-ასი გრამი დავლიოთ!

— მაგრამ მაშინვე დამაჯარიმებთ!

— არა, დღეს ხომ მილიციის დღეა! მარტო ვარ, მეწყვილე არა მყავს! თითოც გადავკრათ!

დალიეს. მძღოლი წავიდა, ავტოინსპექტორი რაციას მოიმარჯვებს:

— პირველო, მეორე ვარ! მე შენი 50 მანეთი მმართებს? მალე შენთან ჩამოივლის თეთრი ჟიგული. მძღოლი მთვრალია!

* * *

— **წაიკითხეთ**, ქვედა სტრიქონი... — ეუბნება პაციენტს ექიმი.

— არ შემიძლია.

— ახლომხედველი ყოფილხართ...

— ესღა მაკლდა! მთელი ცხოვრება გაუნათლებელი ვიყავი, ახლა კი თურმე ახლომხედველიც ვარ...

◎ კადრი

ფოტოზე აღბეჭდილი შიმპანზე, რომელიც თავის შუადღის ულუფას ასე მადიანად მიირთმევს, კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტის ცხოველთა ერთ-ერთ თავშესაფარში ცხოვრობს. ცოტა ხნის წინათ ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ, ადამიანის მსგავსად, ეს პრიმატებიც მომზადებულ და არა უმ საკვებს ამჯობინებენ.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24